საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 12 თებერვალი. 2020 წ. №25 (8951) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გეოპოლიტიკური აჯაფსანდალი

ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც და სხვა რეგიონებშიც უკვე აღარ ემთხვევა ერთმანეთს

8

„სააკაშვილი ცდილობს მერაბიშვილის, როგორც პოლიტიკური ოპონენტის, განადგურებას!“

2

ოპოზიციამ მიშას სცენარს მიჰყვება

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მამუკა მდინარაძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიხეილ სააკაშვილი მისი განცხადების გამო მკაცრად გააკრიტიკეს, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩანს, რომ ისინი მის სცენარს მიჰყვებიან, რომელიც რევოლუციურია.

მამუკა მდინარაძე საარჩევნო სისტემის ცვლილების მიზნით მეხუთე რაუნდის ჩაშლას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დიდი ხანია, ოპოზიციას მაგიდის აყირავება უნდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არც ერთ ეტაპზე კომპრომისული ვერსია არ წარმოადგინეს.

„ამის გამოძახილი იყო არასერიოზული განცხადებები 135/15-სა და 130/20-ზე. პირველი დათმობის ნიშნები გუშინ მაშინ გაჩნდა, როცა მათ მოლოდინი ჰქონდათ, რომ ექნებოდათ საბაბი, მოლაპარაკების მაგიდა ამოეყირავებინათ და თქვეს, რომ 130/20-ს გვთავაზობდნენ. ეს არასერიოზული წინადადებები იყო იმისთვის, რომ დაფიქსირებული ყოფილიყო ის, თითქოს, მათ რაღაც შემოგვთავაზეს. ძალიან სამწუხაროა, როცა საუბარი პასუხისმგებლობასა და კონსენსუსზე მიდის, მხოლოდ ხელისუფლება რომ გახსენდებათ ხოლმე. ეს გარკვეული ტენდენციისა და ტრენდის ბრალია“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

დარჩით პოლიტიკური დიალოგისა და საარჩევნო კოდექსის დახვეწის ერთგულნი

აშშ-ის საელჩო მხარს უჭერს საქართველოს მმართველ პარტიასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის პოლიტიკურ დიალოგს, რომლის მიზანიც არის ისეთ საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება, რომელიც საუკეთესოდ ემსახურება ქართველ ხალხს, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„აშშ-ის საელჩო იმედგაცრუებულია იმით, რომ ოპოზიციის ლიდერის მიმართ გუშინ გამოტანილი განაჩენისა და თავისუფლების აღკვეთის დრო და კონტექსტი დიალოგს რისკის ქვეშ აყენებს. დიალოგის წარმატებულად გაგრძელებისთვის ხელშემწყობი გარემო მოითხოვს დამოუკიდებელ, გამჭვირვალე სასამართლო სისტემას, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური ზეგავლენისგან. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, დარჩნენ პოლიტიკური დიალოგისა და საარჩევნო კოდექსის შემდგომი დახვეწის ერთგულნი, რაც არის საუკეთესო გზა, შეიქმნას პირობები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად“, — აცხადებს აშშ-ის საელჩო.

აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს ე.წ. მოთხოვნებს არ შეასრულებს

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, ხელისუფლება ევროპის საბჭოს ე.წ. მოთხოვნებს არ შეასრულებს. ალიევის თქმით, „ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია აზერბაიჯანის არჩევნების შეფასებას მიკერძოებულად უდგება“.

„ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ზოგიერთი ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის ნეგატიურ შეფასებას. ზოგჯერ ეს დასკვნა არჩევნების ჩატარებამდე მზადდება არა ორგანიზაციაში, არამედ სხვა ადგილას“.

ალიევის განცხადებით, „9 თებერვალს აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რადგან ახალმა პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს რეფორმების გაგრძელებას“.

9 თებერვალს აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის მისიაში არჩევნების პროცესში დაფიქსირებულ დარღვევებზე საუბრობენ.

რა აწუხებს ბატონ რობინს და უნდა მოკაკვოს თუ არა თითი საქართველოს მთავრობამ?!

7

ამერიკა რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფინანსურად დაგვეხმარება

სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ოპერაციების 2021 წლის ფისკალური ბიუჯეტით, აშშ საქართველოს რუსეთის აგრესიასთან და რუსულ გავლენებთან საბრძოლველად ფინანსურად დაეხმარება.

ამერიკის შეერთებული შტატების 2021 წლის ბიუჯეტი სამხედრო დახმარების სახით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, 170 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ამის შესახებ აშშ-ის 2021 ფისკალური წლის ბიუჯეტის კანონპროექტშია აღნიშნული.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროპასა და ევრაზიაში სტრატეგიული უსაფრთხოების პრიორიტეტები რუსეთის გავლენასთან და აგრესიასთან დაპირისპირებაა, მოკავშირეებისა და პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერებით, რომ დაიცვან სუვერენიტეტი და უზრუნველყონ საკუთარი დაცვა, ნატოსთან და დასავლეთის სხვა ძალებთან ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების გზით, ასევე მდგრადი თავდაცვის რეფორმების განხორციელების საშუალებით.

დოკუმენტის თანახმად, დაფინანსება ხელს შეუწყობს აღჭურვილობის მიწოდებას და წვრთნებს, მათ შორის ტაქტიკური აღჭურვილობის მიღებას დაზვერვისთვის და დაკვირვებისთვის, ასევე მეთაურობას და კონტროლს. აშშ-ის 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში დაფინანსების პრიორიტეტულ მიმღებებად დასახელებულია: საქართველო, უკრაინა, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რომლებიც დოკუმენტში ფრონტის ხაზის ქვეყნებად არის მოხსენიებული.

„უცხოური სამხედრო დაფინანსების რეგიონული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ევროპული რეკაპიტალიზაციის სტიმულირების პროგრამის გასაფართოებლად, რომელიც ხაზს უსვამს ტვირთის გაზიარებას აშშ-ის მიერ საგრანტო სამხედრო დახმარების სტიმულირებას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ჩადებენ ეროვნულ სახსრებს თავიანთი სამხედროების მოდერნიზაციისა და რუსული აღჭურვილობის თავიდან მოშორებისთვის. დეპარტამენტი თავდაცვის დეპარტამენტთან იმუშავებს პოტენციურ ქვეყნებზე“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

გრიგოლ ლილუაშვილი საქართველოში აშშ-ის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალდანიშნულ ელჩს კელი დეგნანს შეხვდა.

სუს-ის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში მტკიცე პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობას და ისაუბრეს ამ მიმართულებით არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების შესაძლებლობებზე. გრიგოლ ლილუაშვილმა და კელი დეგნანმა უსაფრთხოების კუთხით საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და რეგიონული საფრთხეები მიმოიხილეს.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და აშშ-ის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე.

ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე სტრასბურგში გაემგზავრნენ

„ქართული ოცნების“ გენერალური და აღმასრულებელი მდივნები სტრასბურგში გაემგზავრნენ. ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე დელეგაციის წევრებთან ერთად ევროპარლამენტარებს შეხვდებიან.

კახა კალაძის განცხადებით, ისინი ევროპელ კოლეგებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ინფორმაციას მიაწვდიან. 12-13 თებერვალს ევროპარლამენტში ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოციერების საბჭოს სხდომა გაიმართება.

საქმეში გაურკვეველი სენატორისა და კონგრესმენის „შეფასებები“

შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე სენატორი ჯიმ რიში გიგი უგულავას დაპატიმრების საქმეს ეხმაურება. უგულავას საპატიმროში მისვლიდან რამდენიმე საათში სენატორმა სენატის საგარეო კომიტეტის ოფიციალურ „ტვიტერის“ გვერდზე შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: **„იმედგაცრუებული ვარ, რომ საქართველომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების პოლიტიკურად მოტივირებული შევიწროების გაზრდის გზა აირჩია. როგორც გასულ კვირას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ვუთხარი, სასამართლო დამოუკიდებლობის ჩამოშლა და ოპოზიციის დევნა მიუღებელი ქცევაა“.**

განცხადება გააკეთა კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, კონგრესმენმა ადამ კინზინგერმაც. სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ გიგი უგულავას დაკავებას ის ასე გამოეხმაურა: **„გიგი უგულავა, ევროპული საქართველოს ლიდერი დღეს დააკავეს და 38-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს ძველი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც სასჯელი უკვე მოიხადა. იმის თქმა, რომ ეს შემაშფოთებელია, არასათანადოდ მკაცრი შეფასებაა. სასამართლოს იარაღად გამოყენება დემოკრატია არ არის,“** — წერს კინზინგერი. **ახლა კი საქმეში ჩახედული პროფესიონალის განმარტებაც ვნახოთ და იქნებ დასკვნებიც გამოიტანონ ღრმადპატივცემულმა საქართველოს „მეგობრებმა“.**

... 50 მილიონის მოპარვა ასე არ ჩაივლიდა...

გიგი უგულავა **თავადაც კარგად აცნობიერებდა, რომ 50 მილიონის მოპარვა ასე არ ჩაივლიდა და გადაწყვეტილება დადგებოდა, ჩემი ეჭვია, რომ მისი აგრესიული პოლიტიკური აქტივობები სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განუცხადა. ამასთან, დეპუტატის თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან კარგად იციან, რომ ბიუჯეტისთვის ხელის ხლება სერიოზული დანაშაულია და ეს გათანაბრებულია ყველაზე მძიმე დანაშაულთან, რისთვისაც საკმაოდ ბევრი ადამიანია დასჯილი, მათ შორის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები.

„გიგი უგულავამ ბიუჯეტს გაცილებით მეტი ზარალი მიაყენა, თან პირადი მოქმედებებით და დატაცების მთელი სისტემა შექმნა. ამ თემაზე კომპრომისი ვერ იქნებოდა, რომელი პროკურატურაც არ უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ეს პროცესი 2013 წლიდან დაიწყო და არ შეჩერებულა. გიგი უგულავამ და ოპონენტებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ თემა დამთავრებული არ არის, გასაჩივრებული იყო უზენაესს სასამართლოში და იცოდნენ ის მძიმე მაგალითებიც, რაც საქართველოსა და მსოფლიოში მოხდა ასეთი დანაშაულებისას. კონკრეტული ქალაქის მერები და საკრებულოს წარმომადგენლები დაკავებული არიან 200-500 ათასი ლარის გაფლანგვის გამო და პროკურატურა კომპრომისს არ დაუშვებდა იმის გამო, რომ აქ პოლიტიკური თემაც არსებობს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

უგულავას მიმართ სისხლის სამართლის საქმეები სამი სხვადასხვა მიმართულებით არსებობს

ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს:

„რა ხდება სინამდვილეში უგულავას საქმეზე...

უგულავას მიმართ სისხლის სამართლის საქმეები სამი სხვადასხვა მიმართულებით არსებობს. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება — შეეხება „თბილსერვისის“ ეპიზოდს და 5 მილიონ ლარს, რაზეც უგულავამ მოიხადა სასჯელი. საქმე, რომლზეც დღეს დადგა საბოლოო განაჩენი — ეხება 48 მილიონ ლარს, საიდანაც 14 მილიონი ბიუჯეტიდან ხელფასების სახით ჩაურიცხა პარტიულ აქტივს. დანარჩენიც გაფლანგულია, — გამოიტანეს ქეშად და დახარჯეს პარტიულ ღონისძიებებში.

პროკურატურა ამ თემაზე თავიდანვე გაფლანგვას ედავებოდა უგულავას. პირველი ინსტანციის სასამართლო პროკურატურას გაფლანგვის კვალიფიკაციაზე არ დაეთანხმა. თქვა, რომ ეს არის უფლებამოსილების გადამეტება და მიუსაჯა 1 წელი და 3 თვე პატიმრობა. ამ ვადის გასვლის შემდეგ უგულავა ციხიდან გამოვიდა. პროკურატურამ გაასაჩივრა განაჩენი, მაგრამ სააპელაციო სასამართლო პირველ ინსტანციას დაეთანხმა და განაჩენი არ შეცვალა.

პროკურატურამ ეს (სააპელაციო სასამართლოს) განაჩენიც გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. მას მიაჩნდა, რომ რეალურად სასჯელი იყო ძალიან მსუბუქი, რადგან უგულავას ქმედება იყო გაფლანგვა და არა უფლებამოსილების გადამეტება.

უზენაესი სასამართლო პირველი და მეორე ინსტანციებისგან განსხვავებით, დაეთანხმა პროკურატურას. მან თქვა, რომ უგულავას ქმედება ნამდვილად არის გაფლანგვა და მიუსაჯა შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული სასჯელი — 4 წელი და 5 თვით პატიმრობა. ამას აკლდება მოხდილი სასჯელი — 1 წელი და 3 თვე და მას მოუწევს დამატებით 3 წელი და 2 თვე ციხეში ჯდომა. თვითონ გიგი უგულავას სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში არ გაუსაჩივრებია!

მესამე საქმე ახლაც საქალაქო სასამართლოშია. ის შეეხება არაერთ ეპიზოდს — ფულის გათეთრება, საარჩევნო დოკუმენტების განადგურება და ა.შ. ახლა მითხარით, რა შუაშია პოლიტიკური დევნა ან ერთ საქმეზე ორჯერ დაჭერა? ეს კაცი არის ჩვეულებრივი კრიმინალი და მისი ყველა თანაპარტიელი მატყუარაა!“ — წერს ნიკოლეიშვილი.

ქუცნაშვილი პოლიტიკიდან — „ქერის ორმოში“...

ყოფილი **დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი ქ. გარდაბნის „თბოსადგურის“ დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. „2020NEWS“ ზაქარია ქუცნაშვილს დაუკავშირდა. ქუცნაშვილი ჩვენთან საუბარში მის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინფორმაციას ადასტურებს.**

„დიახ, ნამდვილად დავინიშნე გარდაბნის „თბოსადგურის“ დირექტორის მოადგილედ. ეს არ არის საჯარო სამსახური, ეს არის კერძო საკუთრება. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ გიდასტურებთ ინფორმაციას, სხვას ვერაფერს გეტყვით. შეგიძლიათ, მომილოცოთ კერძო სექტორში გადასვლა“, — **განაცხადა ქუცნაშვილმა სააგენტოსთან საუბრისას.**

შეგახსენებთ, შპს “გარდაბნის თბოსადგურის“ 49.092%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი „საპარტნიორო ფონდია“. 50.908%-იანი წილის კი — „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. თავის მხრივ, კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ისევ „საპარტნიორო ფონდია“.

„სააკაშვილი ცდილობს მერაბიშვილის, როგორც პოლიტიკური ოპონენტის, განადგურებას!“

მატროსოვზე მყოფი ვანო მერაბიშვილი უკვე მეორედ ხდება მიხეილ სააკაშვილის კრიტიკის ობიექტი. ქვეყნიდან გაქცეული ექსპრეზიდენტი აცხადებს, რომ ხედავს იმ შეცდომებს, რაც დაუშვა ყოფილმა შს მინისტრმა, და რომ არა ეს გადაცდომები, „ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის ხელში ჩაგდება შედარებით გაუძნელდებოდა“.

ექსპრეზიდენტის განცხადებიდან ცხადი ხდება, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვანო მერაბიშვილი არ იქნება მისი პირადი შტაბის ხელმძღვანელი. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, შტაბს თავად უხელმძღვანელებს და როგორც ამბობს, ადგილზე იქნება ჰორიზონტალური სტრუქტურა. ანალიტიკოსების შეფასებით, სააკაშვილი ცდილობს, ვანო მერაბიშვილის, როგორც მისი მომავალი პოლიტიკური ოპონენტის განადგურებას, რომელიც საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეობას სავარაუდოდ „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად გააგრძელებს და დიდი ალბათობით, — ალაპარაკდება.

რაც შეეხება სააკაშვილის მიერ შექმნილ პირად შტაბს, ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** არ გამორიცხავს, რომ ამით სააკაშვილი ცდილობს მისი პირადი რეიტინგის გარკვევას, რომ შემდეგ უფრო ადვილად ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა მისი თქმით, სააკაშვილის მოქმედებებში რაიმე ლოგიკის აღმოჩენა ძალიან ძნელია.

„ვერ ვიტყვი რა აქვს მიზნად. საქართველოს კანონმდებლობა უკრძალავს მონაწილეობა მიიღოს პირდაპირ პოლიტიკურ პროცესებში, მით უმეტეს არჩევნებში, ეს გამორიცხულია. სააკაშვილი აღიარებული ლიდერია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ის განსაზღვრავს „ნაციონალური მოძრაობის“ დღის წესრიგს. რა იქნება, როგორ განვითარდება შემდეგი მოვლენები, ან რას შეცვლის ეს შტაბი პოლიტიკურ დღის წესრიგში, არ მესმის, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს თავისი შტაბი, რომელიც შედის ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში, რომელიც საარჩევნო საკითხებზე მსჯელობს“, —

◎ წკეპლიკა

ღმერთმა გვიმრავლოს!..

ელისო, ხატია და... მორიგი ისტერიკა ფეისბუქზე

ელისო ვირსალაძის ინტერვიუმ ერთ-ერთი რუსული სპეციფიკური ტელევიზი-ისადმი დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქარ-თულ ფეისბუქში. მორიგი მტრის ხატი ნა-პოვნია, თანაც ოკუპანტის ენაზე მოსაუბრე. კი თქვაო, რომ უნიჭიერესიაო, მაგრამ მა-ინც როგორ გაგვიბედა და კრიტიკულად რად მოიხსენია ჩვენი კერპის – ხატია ბუ-ნიათიშვილის საშემსრულებლო სტილიო. მოღალატეო... საბჭოთა „ინწელიგენციაო“... ერთი სიტყვით, „ტრადიციული“ პატრიო-ტიზმის სულისკვეთების მორიგი აფეთქე-ბა გადასული ელემენტარულ უკულტურო-ბასა და... უზრდელობაში.

ვიდრე ჩემს პოზიციას და ნაფიქრალს განსჯიდეთ, თავს ძალა დავატანოთ და ეს ინტერვიუ მოვისმინოთ უემოციოდ. ფაქ-ტია, ის განსაზღვრულია სპეციფიკური, მუ-სიკის მოყვარული და ამ მხრივ მეტ-ნაკლე-ბად მომზადებული აუდიტორიისთვის.

ვირსალაძე გულწრფელია! და აღია-რებს მოვლენას, როგორც კარგ (მაღალ ნი-ჭიერებას), ასევე ნაკლს (ფართო მუსიკა-ლური განათლების ერთგვარ სისუსტეს) და არა ერთადერთი ხატიასი, არამედ მრა-ვალი(!) აღიარებული შემსრულებლისას.

და ამაზე მსჯელობს არა მარტო მეტ-რი – დიდი პიანისტი, არამედ უდიდესი სტაჟის მქონე, აღიარებული პედაგოგი მოსკოვისა და მიუნხენის სახელგანთქმუ-ლი კონსერვატორიებისა.

და მიუხედავად ამ შეფასებებისა, ჩვე-ნი საყვარელი ხატია ისევ უსაყვარლეს და უმაგრეს ხატიად დარჩება! სხვებიც!

ექნებათ ტაშიც... მხურვალეც... გასტ-როლები... შესაბამისი ანაზღაურებაც...

მაგრამ თუ ეს მუსიკოს-შემსრულებ-ლები გაითვალისწინებენ ღვაწლმოსილ ქალბატონ ელისოს – თანამედროვეობის ამ მართლა კლასიკოსის რჩევებს, ყველა სიკეთე, წარმატება, დაფასება, სიყვარუ-ლი ექნებათ უფრო მეტი, გაცილებით მე-ტი... და უწინარესად უმაღლეს პროფე-სიონალთა წრეში.

და ქალბატონი ელისოც იმადვე დიდ პროფესიონალად დარჩება, მიუხედავად ჩვენეული ნაცნობი ისტერიკისა. ერთი კია, ელისო ვირსალაძისთვის პოლიტიკური და შეურაცხმყოფელი იარლიყების მიკე-რება, მისი „ოკუპანტობა“ და სხვა უბე-დურებები არის არა მარტო სასაცილო, არამედ სატირალიც და გახლავთ, ჩემი პი-რადი მოსაზრებით, მამალი პროვინცია-ლიზმის, პრიმიტივიზმის და, უბრალოდ, სიბნელის განსახიერება.

ვირსალაძეების უდიდებულესი ოჯა-ხის და ქართული კულტურის წინაშე სა-უკუნოვანი დამსახურების აგდებულად მოხსენიება კი უბრალოდ უვიცობაა. ნა-მეტნავი უწიგნურობა! და ალავერდს ამის გამო დღევანდელ ქართულ მედი-ასთან გადავდივარ.

ბავშვმაც კი იცის, ვინ არის აია-ს თავ-მჯდომარე, ვინმე ბენიძე, ვინმე ხარშილაძე, გიგაური, „პრეზერვატივების პრინცესა“, „მორკინალის დედოფალი“... ეკრანიდან არ ჩამოდიან გაურკვეველი პროფესიის ექ-სპერტები და ა, შ. სამაგიეროდ, თითქმის ახალგაზრდობიდან თითქმის ვერავინ გეტყვით, ვინ იყო სპირიდონ ვირსალაძე, ანასტასია ვირსალაძე, კონსტანტინე ვირ-სალაძე... რა ღვაწლი მიუძღვით მათ ქარ-თული საზოგადოებრიობის წინაშე. სწო-რედ ამ შტოს დიდ მოღვაწეობას აგრძელებს მისი შთამომავლობა.

ნიშანდობლივად, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქალბატონი ელისოს მრავალწლიანი და უანგარო(!) „თელა-ვის ფესტივალი“ იყო და დარჩება ამ უდიდესი ქართველი პიანისტის გულწ-რფელი პატრიოტული სულისკვეთების სამაგალითო გამოვლინებად. ისიც გა-ვითვალისწინოთ, რომ მას არასოდეს ჰქონია საქმე პოლიტიკასთან, არ ყოფი-ლა ახლოს არც ერთ ხელისუფლებასთან, ანუ არასოდეს გასულა ერთი ნაბიჯითაც კი მუსიკალური სამყაროდან.

ეს ორი დღეა, სულ ვფიქრობ და რა-ღაც ის ტკივილიანი დრო მახსენდება, როცა ლიანა ისაკაძეს, რობერტ სტურუ-ას, ბუბა კიკაბიძეს, თემურ ჩხეიძეს და სხვა უთვალსაჩინოეს ხელოვანთ სამარ-ცხვინო იარლიყებს აკერებდნენ, საქარ-თველოს მტრებად აცხადებდნენ.

დრო შეიცვალა. მსოფლიოც. ჩვენ ვე-რა და ვერ გავთავისუფლდით ამ სიმა-ხინჯისგან.

ამაზე მეტყველებს დღევანდელობაც.

სულ ცოტა ხნის წინათ ნინო ანანიაშ-ვილი, პაატა ბურჭულაძე, „ერისიონი“ ვაცვით ჯვარს პოლიტიკური მდგომარე-ობის გამო.

თუ ყველა მაჭუტაძეს ან ნებისმიერ თუთიყუშ-„პუბლიცისტკას“ აქვს უფლე-ბა, საყვედური გამოთქვას, ჰქონდეს „ბრძნული“ აზრი, ამოჩემებული პოზი-ცია, ამ უნიჭიერეს ადამიანებს – მსოფ-ლიოში აღიარებულ უმაღლესი დონის პროფესიონალებს რატომ და ვინ უკრძალავს ამას? თავიანთი ცხოვრებით, შემოქმედებით, მიღწევებით მათ რა, არ მოიპოვეს და არ დაიმსახურეს იმის უფ-ლება, რომ უშიშრად, მოურიდებლად თქვან, რისი მოთხოვნილებაც გააჩნიათ?!

განა არ ამბობდა კინოში ბევრისთვის მიუღებელ სათქმელს ბუმბერაზი გია და-ნელია? ყველას არ მოსწონდა, მაგრამ... ახ-ლახან თქვა და დაიცვა სტალინი და ქარ-თველობა ნიკა ცისკარიძემ ბევრი ლიბე-რალისთვის მიუღებელი შეფასებებით და რიტორიკით. სამაგიეროდ, პატრიოტების დაუფარავი აღტაცებით და... არ ჩამოქცე-ულა ქვეყანა არც ერთის ყიჟინით...

ფბ-ზე გაჩაღებული ანტივირსა-ლაძისეული ისტერიკა კი, უბრალოდ, სირცხვილია!

რაც შეეხება ხატია ბუნიათიშვილს, ამ ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვისაც უსაყვარლეს, ანგელოზ ქალბატონს (რაც არაერთგზის დამიდასტურებია) წარმა-ტებები ვუსურვოთ.

თურმე რა მნიშვნელოვანი პიროვნე-ბა ყოფილა ქართველი საზოგადოების-თვის ეს ჯადოქარი ახალგაზრდა ქალბატო-ნი და... ამით რა ბედნი-ერნი ვართ!..



ბევრი ხატია, ბევრი ელისო, ბევრი რობიკო, ბევრი პაატა ჩვენს საქართველოს!

ნუგზარ ფოფხაძე

ქართულ ბაზარზე საკუთარი საშენი მასალა უნდა დომინირებდეს

მარნეულში გამართულ პრეზენტა-ციაზე ნათია თურნავამ დამსწრე საზო-გადოებას პროგრამის „ასი საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ახალი კომპონენტი წარუდგინა, რომელიც საქართველოში არსებული სხვადასხვა წიაღისეულის ათ-ვისებას ითვალისწინებს.

ეკონომიკის მინისტრის განმარტე-ბით, წიაღისეულის ლიცენზიების ასი პარალელური აუქციონი, ერთი მხრივ, ემსახურება ბიზნესის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ ემსახურება მი-ზანს, რომ წიაღის გადამუშავებით შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და ისეთი კონკურენტული პროდუქცია, როგორიც არის ქართული საშენი მა-სალა.

„კერამიკა, წყალი, ბალნეოლოგიურ კურორტებზე განვითარებული მინერა-ლური წყლის საბადოები და ა.შ. ასევე ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ საკუთარი საშენი მასალა დომინირებდეს ჩვენს ბა-ზარზე, ჩვენი წიაღისეული პროდუქცია იყოს გაცილებით უფრო კონკურენტუ-ნარიანი, ვიდრე იმპორტირებული და სა-ექსპორტო ბაზრებზე დაიმკვიდროს თა-ვისი ღირსეული ადგილი“ – აღნიშნა ნა-თია თურნავამ.

პროგრამის „ასი საინვესტიციო შე-თავაზება ბიზნესს“ წიაღისეულის ახა-ლი კომპონენტის პრეზენტაცია მარნე-ულში, ბაზალტის საბადოს მიმდება-რე ტერიტორიაზე გაიმართა და მას საქართველოს მინისტრთა კაბინეტის და პარლამენტის წევრები, ასევე ბიზ-ნესასოციაციების და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აცხადებს დავით ზარდიაშვი-ლი.

„ნაციონალური მოძრაო-ბის“ წევრი **ნიკა მელია** აცხა-დებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ძალოვან უწყებებზე კონტრო-ლის არასაკმარის მექანიზმებზე საუბრობდა და არა პერსონა-ლურად ვანო მერაბიშვილის რაიმე ბრალეულობაზე. რო-გორც მელია აცხადებს, 2012 წელს „ნაციონალური მოძრაო-ბის“ მარცხი იყო მთელი გუნ-დის პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც საპირისპირო შედე-გი რომ დამდგარიყო.

ნებისმიერ არჩევნებში მარ-ცხი და გამარჯვება პოლიტიკუ-რი გუნდისთვის რას ნიშნავს – ან მთელი გუნდის დამსახურე-ბაა, ან მთელი გუნდის ბრალია. ეს ყოველთვის ასეა და ასე იქ-ნება ამ არჩევნებზეც და შემდეგ არჩევნებზეც. ნებისმიერი პო-ლიტიკური გუნდი რომ ავი-ღოთ, მაგალითად, თქმა იმისა, რომ ცალკეული ადამიანების ბრალი იყო და დანარჩენი ადა-მიანების ბრალი არ იყო, ასე, რა თქმა უნდა, არ არის.

სააკაშვილის განცხადება ყოფილ შს მინისტრზე, **ნინო ბურჯანაძის** განცხადებით, სულ მცირე არაკორექტული და არაკოლეგიალურია. მისი თქმით, პირველი პირის მხრი-დან შეცდომების სხვაზე გადაბ-რალება არასწორია.

„არ არის სწორი, როდესაც პირველი პირი ვინმეს გადააბრა-ლებს შეცდომებს. როცა ადამი-ანი საკუთარ მიღწევებზე ლაპა-რაკობ და ყველას ერთობლივ მიღწევებს აღნიშნავ, როგორც საკუთარ მიღწევას, შეცდომებიც ასევე უნდა აიღო საკუთარ თავ-ზე. რა თქმა უნდა, ვანო მერაბიშ-ვილი მიხეილ სააკაშვილის გარე-შე არ იღებდა გადაწყვეტილე-ბებს. ვფიქრობ, ბატონ ვანო მე-რაბიშვილზე გაკეთებული მისი განცხადება მინიმუმ არაკორექ-ტული და არაკოლეგიალურია.

ვცდილობ, ძალიან დელიკა-ტურად ვისაუბრო ამ ეტაპზე სა-აკაშვილზე, თუნდაც იმის გამო, რომ არ მინდა, უხერხულ მდგო-მარეობაში ჩავაყენო ის ადამი-ანები, მისი პარტიის წევრები, ვისთან ერთადაც გვერდიგვერდ ვსხედვართ და ელემენტარულად, ერთმანეთის პატივისცემა მო-ითხოვს ამას, რომ მათ ლიდერ-ზე თავშეკავებულად ვისაუბრო“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვი-ლი ნორმალური მსჯელობის სტანდარტს გასცდა. **გია ვოლ-სკის** თქმით, მიხეილ სააკაშვი-ლი მხოლოდ ვანო მერაბიშვი-ლის შეცდომებზე საუბრობს მაშინ, როდესაც მერაბიშვილი სააკაშვილის ბრძანებით მოქ-მედებდა. ამასთან, ვოლსკი მი-იჩნევს, რომ აღნიშნული სა-კითხი „ნაციონალური მოძრა-ობის“ წევრთა შორის სერიო-ზული მსჯელობის საგნად უნ-და იქცეს.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, სააკაშვილი თუკი ხვდებოდა, რომ მერაბიშვილი აშავებდა, რატომ დასვა პრემიერის თა-ნამდებობაზე? – ეს ერთი და მეორე – როცა, თანამშრომელი არასწორად იქცევა, მისი თქმით, სჯიან ხელმძღვანელს, რომელსაც გამოგეპარა და ვერ მოახერხე სწორად მართვა. ასე რომ, როგორც საყვარელიძე აცხადებს, ამ ფორმულით საა-კაშვილს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ფორმუ-ლაც არ გამოუვა.

„ბრძოლის წაგება ბრალდე-ბა მხედართმთავარს და არა მხო-ლოდ გენერლებს. გახსოვთ საა-კაშვილის განცხადება, ბოკერია მაცდუნებდა, თორემ მე მართლ-მადიდებელი ვარო. ახლა მერა-ბიშვილი აცდუნებდა, თორემ თვითონ კარგი იყო. ასეთი პასა-ჟებით ამბობს, რომ რაღაცა მოვ-ლენების მიმართ პასუხისმგებე-ლი არ არის. ხან ერთი, ხან მეო-რე, მესამე და მეოთხე ადამიანები არიან პასუხისგებელი და არა მეო. რისთვის სჭირდება ეს გან-ცხადება, კიდევ ცალკე თემაა. ამით მიშა ამომრჩევლის გულს ვერ მოიგებს, მაგრამ პოლიტი-კურ ოპონენტს უტევს. სააკაშვი-ლის განცხადებები რაციონა-ლურ შთაბეჭდილებას არ ტო-ვებს“, – აღნიშნა რამაზ საყვა-რელიძემ.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბი-რაძის** შეფასებით, ასეთი ტიპის ლიდერები ძალაუფლების და-კარგვის შემდეგ ცდილობენ სა-კუთარი პრობლემები გადააბ-რალონ სხვებს. როგორც ძაბი-რაძე აცხადებს, მერაბიშვილი არ არის ის კაცი, რომელიც ცალკე აიღებდა ამხელა პასუ-ხისმგებლობას.

„როგორ, მერაბიშვილი აშა-ვებდა მარტო, მაშინ სად იყო უშიშროება, სპეცსამსახურები, არც ერთი სამსახური არ მუშა-ობდა ისე, რომ პრეზიდენტი საქ-მის კურსში ჩაეყენებინათ? – აბ-სურდია. ეს არის გადაბრალება და საკუთარი პასუხისმგებლო-ბის მოხსნა. შეგახსენებთ სააკაშ-ვილის განცხადებას – „მერაბიშ-ვილის ადგილი პოლიტიკაში არ არის და ის უნდა გაერთოს სადმე მოგზაურობით“. არის თუ არა პოლიტიკაში მერაბიშვილის ადგილი, ეს ცალკე თემაა, მაგ-რამ სააკაშვილის გადასაწყვე-ტი ნამდვილად არ არის.

„ჩანს, რომ სააკაშვილს არ უნდა მერაბიშვილთან ასოცირე-ბა. ან დარწმუნებულია, რომ მე-რაბიშვილი მიდის სხვა პოლი-ტიკურ დაჯგუფებაში და არა მასთან. ამიტომ წინასწარ აკე-თებს პრევენციულ დარტყმებს მისი მისამართით. ერთია, რომ ამით ცდილობს პასუხისმგებ-ლობისგან გათავისუფლებას და მეორე – პოლიტიკური ოპონენ-ტის დისკრედიტირებას. წინას-წარ ამზადებს ნიადაგს იმისთ-ვის თქვას, რომ მერაბიშვილის პასუხისმგებლობა იყო ის 9-წლიანი პერიოდი და არა ჩემიო. მას არ უნდა საკუთარ თავზე პა-სუხისმგებლობის აღება. რო-გორც ჩანს, აქვს მოლოდინი, რომ მერაბიშვილი დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, ვინ იყო 9-წლი-ანი რეჟიმის შემოქმედი. ამიტომ სააკაშვილი წინასწარ ამზადებს საფუძველს, ეს არის თავდაცვა და არა მომხდარი ფაქტების აღიარება, თუმცა ზუსტად რას გულისხმობს, ეს თვითონ სააკაშ-ვილმაც არ იცის“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

თამთა ქარჩავა

◎ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ...

ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ!..

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ Ზ. ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲐᲠᲐᲓᲔᲚᲘᲘᲨᲜᲔᲚᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ თეატრში (ალ. სუმბათაშვილიუჟინის „ღალატი“). ამიტომაც დილაადრიანად დაფაცურდა, რომ ტრადიციულად საოჯახო საქმეებისთვის მიეხედა, ქარელის რკინიგზის სადგურშიც დროულად გასულიყო და თბილისიდან მომავალ პირველსავე მატარებელს გაჰყოლოდა გორამდე.

იდგა 1920 წლის 21 იანვარი. ისე სასტიკად ყინავდა, მხოლოდ „საქართველოს ციმბირად“ წოდებულ ხაშურის რეგიონში რომ იცის. ბორანით უნდა გადაელახა გაყინული მტკვარი, მაგრამ, საუბედუროდ, ბორანი არ მუშაობდა და სხვა გზა არ იყო, სპექტაკლს ხომ არ ჩავუშლიო მეგობრებს და სრულიად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო – 38 წლის ვაჟკაცს ძალ-ღონე ისე მოსდევდა, ჯამბაზივით დაეკიდა ბორანისთვის გაბმულ მავთულს და ასე გადაწყვიტა ფონს გასვლა. ერთხანს კი გაუძლო თითებმა გაყინულ მავთულს, მაგრამ შუა მდინარეს რომ მიუახლოვდა, ძალა დაკარგა და ჩავარდა მტკვარში. ამასაც არ შეეპუა, მაინც გაცურა ნაპირამდე და გაწუწული მიადგა რკინიგზის ბაქანს, სადაც ორიოდე აბუზული მგზავრი იდგა...

რა მოხდა, გორამდე როგორ ვერ გავუძლებო და მოთმინებით დაელოდა მატარებელს. ღვთის წყალობით, გორამდე მართლაც გაუძლო, სპექტაკლიც ითამაშა, მაგრამ როგორც კი მორჩა ყველაფერს და მოეხსნა პასუხისმგებლობის გრძნობაც, ისეთი სიცხე აუვარდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო და გონებაც დაკარგა...

1920 წლის 1 თებერვალს გორის საავადმყოფოში აღესრულა გ. არადელიიშხნელი. მეორე დღესვე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციით, საქართველოს მსახიობთა კავშირის საბჭომ **საგანგებო** სხდომა მოიწვია და დაადგინა (ციტატა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციიდან: **„1) განსვენებულის ნეშთი გადმოსვენებულ იქნას ტფილისში, რისთვისაც გორში გაიგზავნონ ელ. ჩერქეზიშვილი და კოწო ანდრონიკაშვილი; 2) კუბო შემკულ იქნას დაფნის გვირგვინით; 3) განსვენებულის ნეშთი დაკრძალულ იქნას თებერვლის 5-ს, დიდუბის პანთეონში“.**

3 თებერვალს (გრძელდება გაზეთის პუბლიკაცია), **„საბჭოს მეორე სხდომა გაიმართა, რომელსაც დაესწრენ სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულების წარმომადგენელნი. განსვენებულის ცხედარს ტფილისის სადგურზე ჩამოასვენებენ ხუთშაბათს... აქედან გადასვენებული იქნება ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება მიცვალებულის წირვა და პანაშვიდი. წირვის შემდეგ ცხედარს დიდუბეში წაასვენებენ, სადაც დაკრძალული იქნება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, ნაშუადღევის 2 საათზე. მსახიობთა კავშირს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსდის სამგლოვიარო დეპეშები დიდად ნიჭიერი მსახიობის გარდაცვალების გამო“.**

ეს ციტატა 100 წლის წინანდელ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკიდან“ სრულიად შეგნებულად და საგანგებოდ მომყავს მხოლოდ თქვენთვის, ბ-ნო მერო, რომ მიგანიშნოთ, თუ, თქვენგან განსხვავებით, რა გულისხმიერებას იჩენდნენ ჩვენი ახლო წინაპრები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი ქართული კულტურის ოსტატების მიმართ... შეგახსენებთ იმასაც, რომ დედაქალაქიდან ჩამოსულმა დელეგაციამ ვერ შეასრულა

➡

◎ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲜ�გᲠᲔᲡᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲘᲛ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲙᲣᲠᲗᲮᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ

8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, დავითობას გელათის აკადემიის ისტორიულ კედლებში გაიმართა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა კონგრესი, რომელმაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე იმსჯელა. კონგრესმა განიხილა „ქართული დოქტრინის“ შემუშავების საკითხი, რომლის იდეაც ცნობილ არქიტექტორსა და მოღვაწეს გიგა ბათიაშვილს ეკუთვნის და რომელზეც უკვე მუშაობს მეცნიერთა ჯგუფი.

კონგრესის მონაწილეებმა ხატმწერ შალვა გერაძის მიერ შესრულებული დავით აღმაშენებლის ხატი ჩააბრძანეს გელათში, რომელიც აკურთხა ქუთათელ გაენათელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოანემ და სამუდამოდ დაივანა გელათის მონასტერში.

კონგრესის მონაწილეებმა: ცნობილმა არქიტექტორმა, არქიტექტურის პროფესორმა, **გიგა ბათიაშვილმა,** ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელმა **ანზორ ერქომაიშვილმა,** რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, პოეტმა **დავით შემოქმედელმა,** აკადემიკოსმა **არნოლდ გეგეჭკორმა,** პროფესორებმა **რეზო ბალანჩივაძემ, ვახში ჟვანიამ,** ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **გუბაზ მეგრელიძემ** და გელათის აკადემიის წევრმა, პიოლიტიკოსმა **თემურ შაშიაშვილმა** დააყენეს საკითხი დავით აღმაშენებლის ძეგლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ. შემუშავებული იქნა მიმართვა, რომელსაც კონგრესის სამასივე მონაწილემ დაუჭირა მხარი. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს უცვლელად.

* * *

ჩვენ, გელათის კონგრესის მონაწილენი, როგორც ვანდალურ ფაქტს ასე ვაფასებთ მეფეთმეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის გადაადგილებას როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. თუნდაც იმის გამო, რომ ეს ყველაფერი მოხდა ძეგლის ავტორებთან და მათ მემკვიდრეებთან შეთანხმების გარეშე და დღემდე არ არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ძეგლი, რომელიც დაიდგა საქართველოს კათოლიკოს-პატიარქის ლოცვა-კურთხევით და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, გადაადგილებულიყო პირვანდელი ადგილიდან. ეს დასტურდება თბილისის მერიიდან, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ჩვენ მიერ შეტანილ განცხადებაზე მიღებული პასუხით, უფრო მეტიც, ქუთაისში ძეგლი დაიდგა ლენინის ძეგლის კვარცხლბეკზე ყოველგვარი არქიტექტურული ცვლილებების გარეშე!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო გარე ძალთა მსახური ხელისუფლების ანტიქართული განწყობის დადასტურება და დღეს, როცა ამ უწმინდეს, ბიბლიურ ადგილზე – გელათში დავიწყეთ საუბარი „ქართული დოქტრინის“ შემუშავების აუცილებლობისა და ამ პროცესის დაწყების თაობაზე, ჩვენ უპირველესად მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა წმინდანი მეფის სახელთან დაკავშირებით და ძეგლი დაბრუნდეს იმ ადგილზე, სადაც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ეს არ არის მექანიკური პროცესი. ეს არის დაბრუნება ქართულ ფესვებთან და ქართული ცნობიერებით და ზოგადკაცობრიული იდეალებისადმი ერთგულებით ფიქრი მომავლის საქართველოზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა იქნება დიდი სიტყვა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ჰარმონიზაციის კუთხით. ეს იქნება იმის ხაზგასმა, რომ: **ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!**

ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა. გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები.

ჩვენ დღეს ამ დიდ ქართულ პროცესს ვიწყებთ. ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები ზოგადკაცობრიულთან.

საქართველოსთვის, ქართველობისთვის, თანამემამულეებისთვის, ჩვენი მეგობრებისთვის საამაყოა, რომ მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოების მიერ დავით აღმაშენებელი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი უპირველესი და უძლიერესი სტრატეგი და მხედართმთავარი. ეს ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ჩვენ სწორედ ამ პასუხისმგებლობით ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ ის საქართველოს მოსახლეობის, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი ნამდვილი მეგობრების მიერ იქნება მხარდაჭერილი.

ᲐᲛᲐᲡ ᲕᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗ“

„ᲒᲖᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲙᲔᲜ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

თავისი დანიშნულება, ვერაფერი გააწყო მსახიობის თანასოფლელებთან, რომელთაც მოითხოვეს (და მიაღწიეს კიდეც), რომ გ. არადელი-იშხნელი მშობლიურ სოფელში დაეკრძალათ...

მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა და საკითხავია, რაც მერი ბრძანდებით ქარელისა (მანამდე — გამგებელი), ერთხელ მაინც თუ მოგინახულებიათ პირადად ან თქვენს რომელიმე მოადგილეს, გ. არადელი-იშხნელის საუკუნო განსასვენებელი? რა თქმა უნდა, არა, თქვენ სულ სხვა სულიერი წყობის ადამიანი ბრძანდებით, ბ-ნო მერო. არადა, მიკვირს — როცა ხედავთ, რომ თქვენი პარტიისა და მთელი ქვეყნის ლიდერი — ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი სწორედ ქართული კულტურისთვის, მისი ისტორიული ძეგლებისა თუ მსახიობთა დღევანდელი თაობისთვის, როგორ არ იშურებს ვეებერთელა თანხებს, მილიარდებსაც კი საკუთარი ჯიბიდან! ნუთუ ეს უკეთილშობილესი ჟესტი არ უნდა იყოს თქვენთვის ბიძგი, რომ თქვენი პატარა რაიონის ესოდენ გამოჩენილი მსახიობის ხსოვნის პატივსაცემად თუნდაც მცირე ადამიანური ყურადღება გამოიჩინოთ?! საფლავს რომ სათანადო წარწერაც არა აქვს, და კაცი ვერ გაიგებს, ვინ განისვენებს აქ, ამის მოგვარებას რა უნდა?!

აქვე შეგახსენებთ, რას შეგვპირდით გასული წლის 4 აპრილის წერილში:

„ჩვენი მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას, შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დაგიჭიროთ ამ მამულიშვილურ თაოსნობაში და მონაწილეობა მიიღოს თქვენ მიერ დაანონსებულ ღონისძიებებში გ. არადელი-იშხნელის სახელის უკვდავსაყოფად“.

ამ წერილის შემდეგ, ორ თვეში — 8 ივნისს ჩამოვედით და მისი დაბადების დღე აღვნიშნეთ, მაგრამ სად გაქრა თქვენი დაპირება, რად არ გამოჩნდით პირადად ან თქვენი რომელიმე მოადგილე?!

ახლახან (1.II.2020) აღვნიშნეთ ფრიად ანონსირებული (როგორც ითხოვდით) გ. არადელი-იშხნელის ტრაგიკული აღსრულების 100 წლისთავი მის საფლავთან, მაგრამ ვერც მაშინ მოიცალეთ პირადად და, რაღა თქმა უნდა, ვერც თქვენმა რომელიმე მოადგილემ; არადა, დედაქალაქიდან 4-კაციანი დელეგაცია გეწვიათ — ოთხივე მეცნიერების დოქტორი!

თქვენ ასეთ, მსუბუქად თუ ვიტყვით, გულგრილ დამოკიდებულებას „ღირსეულად“ აგრძელებს ქარელის რესურსცენტრის უფროსი, ბ-ნი გ. კობახიძე, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, **ჩაგვიშალა**, დიახ, დიახ, **ჩაგვიშალა** თავის დროზე შეთანხმებული, ოფიციალურად პრესაში გამოცხადებული, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ქარელის რაიონის მოსწავლეთა თეატრალური კონფერენცია თემაზე — **„გ. არადელი-იშხნელის ცხოვრება და მოღვაწეობა“**, რისთვისაც რაიონის 35 საჯარო სკოლაში დაიგზავნა ჩვენს მიერ მიწოდებული ფერადი და უხვად დასურათებული ბუკლეტი.

იმ ბუკლეტში, პირადად რომ მოგაწოდეთ, ყველაფერია ნათქვამი, თუ ვინ იყო გ. არადელი-იშხნელი, მაგრამ თქვენ

მეგობრული შარჟი ძველი ქართული პრესიდან

და თქვენი მოადგილეები ისე ხართ „გადატვირთული საქვეყნო“ საქმეებით, რომ როგორ მოიცლიდით მის გასაცნობად. ამიტომაც ერთხელაც შეგახსენებთ, რომ გ. არადელი-იშხნელი გახლდათ ნუცა ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილის უშუალო მეწყვილე, რომელმაც სულ 11 წელი დაჰყო ქართულ სცენაზე, მაგრამ ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ ლადო მესხიშვილის სიცოცხლეშივე აღიარეს მის ჭეშმარიტ მემკვიდრედ (ისე, ლადო მესხიშვილიც ხომ არ შეგახსენოთ, ვინ იყო?!). ცნობილმა დრამატურგმა ნიკო შიუკაშვილმა (1870-1938) ხატოვნად ასე გამოძერწა გ. არადელ-იშხნელის პორტრეტი!

„ბ-ნმა იშხნელმა გაუსწრო ჩვენ სცენას. ბ-ნი იშხნელი უკრავს ვიოლინოზე, ჩვენი ყური კი ჭიანურს ვერ გასცილებია... ბ-ნ იშხნელის ტემპერამენტი სკამებს არ ამტვრევს, თვალებს არ აბრიალებს, გულს არ იხეთქავს ქშენით. ბ-ნი იშხნელი ნამდვილი არტისტია, რომელმაც იცის, რომ ხელოვნებაში მთავარი არის ზომიერება“.

ეს იყო უპირველესი ხიბლი, რის გამოც გ. არადელი-იშხნელს პირდაპირ ეთაყვანებოდნენ არა მარტო მაყურებლები, არამედ — კოლეგებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდები. აი, როგორ გამოეთხოვა მას იმხანად სრულიად ახალბედა, შემდეგში კი ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილი დიდოსტატი, საქ. სახ. არტისტი — შალვა ღამბაშიძე (1899-1955) მთელი თავისი თაობის სახელით:

„ჩვენ, ახალგაზრდებს, იმიტომ გვიხაროდა სათეატრო საქმეებში ჩაბმა, რომ ვხედავდით გიორგისთანა უდრეკსა და ნიჭიერ ხელოვან მსახიობსო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6.II.1920).

აი, ასეთი ლეგენდარული მოღვაწე იყო გ. არადელი-იშხნელი, რომლის ტრაგიკული აღსასრულიდან 1 თებერვალს მის საფლავზე უკვე აღვნიშნეთ 100 წლისთავი, მაგრამ თანამედროვე ქარელში მისი სახელის უკვდავსაყოფად ვერ გამოიძებნა რომელიმე სკოლა, ქუჩა და ა.შ. ხომ შეგახსენეთ, რომ გარდაცვალების მეორე დღესვე დედაქალაქმა დიდუბის პანთეონში გამოუყო მას ადგილი და ფრიად პატივსაცემი მოღვაწეებით შედგენილი დელეგაციაც გამოაგზავნა უნიჭიერესი მსახიობის ნეშტის გადმოსასვენებლად, მაგრამ თანასოფლელებმა გაუწიეს კატეგორიული წინააღმდეგობა და მშობლიურ არადეთში დაკრძალეს. თბილისმა რომ ახლა, საუკუნის შემდეგ, დააყენოს მისი ნეშტის დედაქალაქში გადმოსვენების საკითხი, ადამიანურად ახი კია თქვენისთანა ხელმძღვანელებზე, მაგრამ სოფელს როგორ ვაკადრებთ ამას, სოფელს, რომელმაც იცის თავისი სვე-უბედური შვილის ფასი...

მართალია, რეალურად გ. არადელ-იშხნელს დღეს არ ჰყავს არც ერთი, ასე ვთქვათ, სისხლისმიერი ჭირისუფალი, რისი შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდება თქვენისთანა ადგილობრივი ხელისუფლების ხელში, მაგრამ მადლიერი ქართველი ხალხი აიღებს ამ მძიმე, მაგრამ სასიამოვნო ტვირთს და ამიერიდან პირადად თქვენ და თქვენ აპარატს ნამდვილად აღარ შეგაწუხებთ, არ „მოგაცდენთ“ თქვენს მოღვაწეობაში — ჩემი, როგორც რიგითი პროფესორის ერთობ მოკრძალებული ხელფასის ნახევარიც კი საკმარისი იქნება საფლავის ქვის გასაკეთებლად და დავდგამთ კიდეც მას ა.წ. 8 ივნისს, მისი დაბადების 138-ე წლისთავზე. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, უთქვენოდ!

პროფ. გოგი დოლიძე,
პირველი ქართული თეატრალური ლექსიკონის მთავარი რედაქტორი

◎ ჩვენი მწარე სინამდვილე

მარილა ზღაპრული ქვეყანა ვარ თუ წარუმატებელი, სხვათა უკან მოჩანჩალე?!

ალბათ, არავის გაუკვირდება და არც არავინ შემედავება, თუ საჯაროდ განვაცხადებ, რომ საქართველო ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პარადოქსების ქვეყნად. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც საქართველოს შესახებ ის ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, რომელსაც ჩვენი კეთილისმყოფელი ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები არცთუ იშვიათად ამზეურებენ თაივანთ ეპისტოლარულ წერილებსა თუ სატელევიზიო გამოსვლებში.

ერთ დღეს რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღფრთოვანებულია საქართველოს ზეობით, მისი ეკონომიკისა და დემოკრატიის აღსაზევებლად გატარებული რევოლუციური რეფორმების ეფექტურობით, მეორე დღეს იმავე ქვეყნის კონგრესმენები თუ სენატორები შეშფოთებას ვერ მალავენ ჩვენში იმავე ეკონომიკისა და დემოკრატიის ზრდის ტემპების შემცირების გამო. ასევე, იქით ევროკავშირი, საერთაშორისო საფინანსო და საინვესტიციო ორგანიზაციები საქართველოს მთელ რეგიონსა და ევროპაშიც კი ბიზნესის გასავითარებლად, ინვესტორების მოსაზიდად, კორუფციის შესამცირებლად გატარებული რეფორმებით ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად რომ მიიჩნევენ, აქეთ ძაღლთაპირი ნაცები ამავე ქვეყნის თავკაცობას ერთთავად ქოქოლას აყრიან, უნიათოები, უქნარები ხართო და ჩამოგდებით ემუქრებიან.

ყველა ესენი, უცხოელებიც და შინაურებიც, ამას რომ ლაპარაკობენ, სათავისოდ ფიქრობენ და საჩვენოდ გვასაღებენ. არადა, რეალობა ის გახლავთ, რაც ამ უცხოელ კეთილისმყოფელთა შექება-შეშფოთებისა და ჩვენებური წუპაკი ნაცების ლანძღვა-გინების მიღმა იმალება. ჰოდა, პატივცემულო მკითხველო, მოდით, პატიოსნად, მიუკერძოებელი თვალით შევხედოთ ამ რეალობას. აი, თუნდაც გასული წლის შედეგებს გადავხედოთ და ვნახოთ, რას გველაპარაკება სტატისტიკა?

ოფიციალურ სტატისტიკას თუ დავუჯერებთ (რა უფლება გვაქვს არ დავუჯეროთ?), 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკა პროგნოზირებული 4,5 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 5,2 პროცენტით. შარშან მთელი 18 პროცენტით მოიმატა ექსპორტმა და მცირედით, მაგრამ მაინც იკლო იმპორტმა. მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 2019 წლის ბოლოსთვის შეადგინა 4700 ამერიკული დოლარი გაცვლითი კურსით, მსყიდველუნარიანობის პარიტეტით — თითქმის 1200 დოლარი ერთ სულზე, რაც არ არის ცუდი მაჩვენებელი. ასე რომ, მაინცდამაინც გულის გასატეხად არ გამოვიყურებით, არც ისე ცუდად გვაქვს საქმე, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები ზედმეტად შეაშფოთოს, ხოლო შინაური მიშნაცები და ევრონაცები ნამეტნავად გაამხიარულოს(!)

ერთი რამ ცხადია, ჩვენ ახლა ამ მოკრძალებული წარმატების ანაბარა არ ვიქნებოდით, წინა ხელისუფალნი ქარაფშუტულად რომ არ მოქცეულიყვნენ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის ზურგი რომ არ შეექციათ და საბჭოეთიდან გადმოყოლილი მდიდარი კაპიტალი ჯართად არ გაენიავებინათ. ყოვლად გაუმართლებელი უგუნურობა ჩავიდინეთ, როცა 1990-იან წლებში 260 მილიარდი დოლარი კაპიტალის ინდუსტრია ჯართად ვაქციეთ და ქვეყანა კატასტროფის წინაშე დავაყენეთ. არადა, ინდუსტრიალიზაცია გახლავთ სწორედ ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი, რომლის გარეშეც ვერც ერთი სახელმწიფო წარმატებას ვერ მიაღწევს. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ბელარუსი, რომლის თავკაცმა ლუკაშენკომ შეძლო, შეენარჩუნებინა ქარხანა-ფაბრიკები, ხალხი დაესაქმებინა და მოკლე პერიოდში ეკონომიკა ამოეწია.

შეცდომები სხვაც ბევრი დავუშვით, რასაც ახლა წარუმატებლობითა და ჩამორჩენილობით ვიმკით. კარგი, ფაბრიკა-ქარხნები ვერ ავაშენეთ, თუმცა ყველა მთავრობა გვპირდებოდა 100 ახალი საწარმოს აგუგუნებას, მაგრამ სოფლის მეურნეობაც რომ მიყურისძირებული გვაქვს? ამის მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ უცხოური ინვესტიციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, — რაღაც ერთ პროცენტზე ნაკლები — მოდის სოფლის მეურნეობის წილად. მიუტევებელი დანაშაული იყო სოფლად მიწების უცხოელებზე გაყიდვა და ტრადიციული სამეურნეო დარგების დაუფინანსებლობა, რამაც აბორიგენი მოსახლეობის გულაცრუება და სოფლების გაუკაცრიელება გამოიწვია. ამის მიუხედავად, დღეს საქართველოში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი მოდის სოფელში თვითდასაქმებულებზე, რაც უკიდურესად არაეფექტური და დაბალმწარმოებლურია. ეს, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება კულტურათა მოსავლიანობის რაოდენობასა და ხარისხზე და იმპორტული პროდუქციის მოცულობაზეც, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ (კიტრი და პამიდორიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს) საქართველოში არა და არ მცირდება.

აქ მხოლოდ იმპორტზე ჩამოკიდებული ქვეყნის იმიჯისგან თავის დაღწევაზე არ გახლავთ საუბარი, უფრო მთავარი სხვა რამეა. სწორედ ის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, რომელმაც დახმარების ვალებით მოგვიმწყვდია, გვავალდებულებს მისი კარნახით ვმართოთ პოლიტიკა და ეკონომიკა და არა იმის გათვალისწინებით, რასაც „ხაფანგში“ მომწყვდეული ქვეყნისა და ხალხის ინტერესები მოითხოვს. აი, უკვე ათეული წლებია დასავლელი კეთილისმყოფელნი მოძღვრავენ ჩვენს ხელისუფლებას, რომ საქართველოსთვის სულაც არ არის საჭირო არც მრეწველობა და არც სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების განვითარება. თუკი რამე გვჭირდება, საკმარისია მოვითხოვოთ და დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები ჩვენ სურვილს უმალ დააკმაყოფილებენ.

იხ. მე-11 გვ.

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

პიროვნება

ყველაფრისთვის მზად ვარ... ყველაფერში დავკარგე მცირე იმედიც კი, პირადად რაც მე მეხება. ცოტაოდენს ჩემსავე თავზე ვდარდობ: სუყველაზე ვდარდობ. ოდეს მესმის, რა განაჩენსაც ჩუმად მაგონებენ, სუყოველი განაჩენი მძულს საერთოდ. მთავარია, რომ ადამიანები სასოებას წარიკვეთენ ხოლმე, მზე არა ჰყოფნით. მერე რა ვუყოთ, თუ სხვებში სწორედ ის მიყვარს, რითი დახმარებაც შემეძლო იმათივე გასაუკეთესებლად? რა ვქნა, თუკი ისინი მიყვარან, ვისთვისაც მეტის მიცემა შემიძლია, ვიდრე გამორთმევა. ისე, კაცმა რომ თქვას, თავხელმარტო ვარ. მერე რა, თუ იმათი დახმარება მიყვარს, ვინც თავაწეული იხრჩობა? სიამოვნებით ვიიძულებდი კაცობრივ ხმას, რომ თავისებურად ეხმიანა, თუ ადამიანის სახეს თავისებურ ღიმილს მოვფენდი. რა ვქნა, თუ მარტოოდენ დატყვევებული სულები მაღელვებენ? ბედნიერი ვარ, ოდეს სასწაულებრივ თუნდ სამი წუთით შემიძლია იმ კაცის მოშინაურება, ვინც დაღუპული ეგონათ, ოდეს მასში თუნდაც სამი წუთით მაინც გაიღვიძებს ჩემდამი ნდობა – ნეტავი განახვათ ერთი, რა სახით დამიწყებს ცქერას! ვინ იცის, იქნებ სულაც მიწისქვეშა გასაღებების მწერალი ვარ. იმის მაძიებელი ვარ, რაც ღრმად მიწაშია. ნამდვილად მცირედ თუ ვჭირდები იმათ, ვინც სრულქმნილია.

* * *

იცით რა, არის ერთი რამ იერსახე – მგონი, ძალიან შთამაგონებელია. მენავენი ჩადედებულ ნისლში მიცურავენ, ყველანი თავ-თავიანთი ნავის ქიმზე დგანან, ყველანი თეთრ უდაბნოში არიან დაკარგულნი. ოც მეტრში თვალთან თითს ვერ მიიტან, ხან ის ფიქრიც კი გაგიელვებს წამიერად, რომ თავხელმარტო ხარ ამ ტრიალ ქვეყანაზე, მაგრამ დროდადრო რომელიმე იმათგანი შეგეხმიანება: „ეჰეჰეი!“ და დანარჩენი მენავენიც ისევე შეეხმიანებიან და თითოეული გამხნევებული და დაიმედებულია ცოცხალი მეგობრული მხარში დგომით. ნისლიც ქრება და მარტოობაც. „ეჰეჰეი!“ ერთმანეთისკენ ფრენენ სასწაულებრივნი ნახმევნი. თითოეული მენავის კუთვნილებაა სიმდიდრე – ეს ურთიერთშეძახილები და როს მენავეთა შორის ჩნდება, საიდანღაც ფოშფოშა ნისლის სიღრმიდან ახალი ხმა აღწევს, მაშასადამე, იქ, ნისლში, იშვება ახალი კაცობრივი მხარში დგომა, – მაშინ მენავე უფრო ღონივრად, გულიანად უსვამს ნიჩაბს.

* * *

ვითომ რატომ გინდათ, რომ ჩემი თავი მეზიზღებოდეს, და ერთი და იგივე უგულებელყოფდეს თავის სამუშაოს? ვფიქრობ, დურგალი ისე უნდა აშალაშინებდეს ფიცარს, თითქოს იმაზე იყვეს დამოკიდებული დედამიწის ბრუნვა. მწერალისთვის ეს აზრი მით უმეტეს სამართლიანია. ვითომ რატომ გინდათ, რომ აპრიორი ხელი ჩავიქნიო და გადავიწყვიტო: უკეთუ უფალი პასკალი ვიქნებოდი, ჩემს თხზულებას არსებობის უფლება ექნებოდა, მე კი თვითგამოხატვის უფლება მომეცემოდა, მაგრამ ვინაიდან მე მხოლოდ და მხოლოდ ვარ მე, განა სულერთი არ არის, მოვახერხებ თუ არა ჩემს სრულ გამოხატვას?

* * *

უდაბნო საგრძნობ სიმდიდრეს არ გვანიჭებს, აქ არცრა თვალით არ ჩანს, არცრა ყურით არ ისმინება, არადა, შინაგანი სიცოცხლე არ დუნდება, პირიქით, კიდევ უფრო გაჯერებული ხდება, შენდა უნებურად რწმუნდები, ადამიანს უპირველესად სწრაფვა ამოძრავებს, რასაც ვერ ამჩნევ. ადამიანს სული მიუძღვის უდაბნოში. ზუსტად ის ვღირვარ, რაც ჩემი ღვთაებანი ღირან.

* * *

ის ერთადერთი რამ, რასაც ამქვეყნად მივდევ, წამიერ გაელვებათა შედეგია, რომელთა მოხელთებაც არ ძალმიძს. დამწვრობა მუსიკამაც უწყის, ნახატმაც ანდა სიყვარულმაც. აი, რატომ ვფიქრობ აგრე ხშირად დღესასწაულზე, რომელშიც თავს იყრის წლის აზრი. მტკიცედ ვიცი, რომ წელიწადი ვაითუ ფშუტედ მეჩვენოს. იმის გააზრება მხოლოდ დღესასწაულის ჟამს ხდება, ხოლო ამ დღესასწაულის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებზე მსჯელობა არ შემიძლია.

* * *

პატიოსნად დაფიქრების დრო დადგა, სიტყვის აზრით ავსების დრო, რომელმა სიტყვამაც ყოველგვარი საგაზრო ღირებულება დაკარგა, რადგან ჩვენ წინაშე ახალი პრობლემები წამოიჭრა, არეულ-დარეული და ურთიერთსაწინააღმდეგო, რომელთა შორის ღირსებისა და უღირსობის პრობლემაც არის.

* * *

რახან ვწერ, ის უნდა მაფიქრებდეს, რას იტყვიან ჩემზე, ჩემს თხზულებაზე და რა მოუვა ამ ჩემს თხზულებას ათი წლის შემდეგ და არა ის მაწუხებდეს, რას იფიქრებს 22 თებერვალს მასზე გემოვნებაგანუვითარებელი ბნელი პიროვნება, რომლისთვისაც უკაცრავად, მაგრამ მიმიფურთხებია. უკეთუ თავად კმაყოფილი ვარ ჩემი ლექსით, აბა, რა მესაქმება თუ გაიგონებენ ანდა წაიკითხავენ ამას ჩემი სიკვდილიდან ორმოცი წლის შემდეგ და არა უფრო ადრე. გაუგებარია პოეტის საგაზრო სახე, რომელმა პოეტმაც ადამიანების უსამართლობა სიღატაკისთვის გაწირა, რათა ასი წლის შემდეგ კუთვნილი მიეღო, ყოველთვის სულელურად და გულჩვილობად მიმაჩნდა. არადა, პოეტი რომ იღბლიანია, აბა, რა ჩემი საქმეა ჭმუნვა იმის გამო, თუ რა ქვირითს დაჰყრიან გველთევზები სარგასის ზღვაში და ვერცროდის თვალით ვერ მოიხილავენ თავიანთ შთამომავალთ?!

* * *

ვერცრა სამყაროში დროს ვერ შეცვლის. საჭიროა დრო და ვახაროთ მსხალი, აღვზარდოთ ბავშვები და ვაყალიბოთ ესა თუ ის თვალსაზრისი.

* * *

...ჩვენი დროის ადამიანები ხაფანგში მოხვდნენ. სატელეფონო ცივილიზაცია აუტანელია. უტყუარი სადმე ყოფნა ყოფნის კარიკატურით შეცვლილია. ადამიანიდან ადამიანზე გადართვა ისევე ხდება, როგორც რადიომიმღებს ერთ წამში გადართავენ ხოლმე. იოჰან სებასტიან ბახიდან „წავიდეთ, ჩემო ვარიკავ“-ზე. ახლა ვერაფერზე ყურადღებას ვერ შეაჩერებ, ადამიანი თან ყველაფერშია, თან არაფერში. ვერ ვიტან ამ ხსნად კაცობრიობას.

* * *

ღმერთმანი, გული მტკივა ჩემი თაობის გამო, საიდანაც გამოჩურჩულია სრულიად კაცობრივი არსი. რომელმაც ბარების, მათემატიკისა და „ბუგატის“ მანქანის თვინიერ, არა იცოდა რა, ახლა კი ულუმელად, ანუ უცებ, ჩათრეულია წმიდა წყლის ჯოგურ წამოწყებაში, რომელიც სავსებით გაუღიმღამდა... დარჩა მხლოდ მონელება – სწრაფი ან ნელი. ყოველგვარი ლირიკა სასაცილოა. ადამიანებს არ სურთ, რომ ისინი როგორმე სულიერი ცხოვრებისთვის გამოაღვიძონ, ისინი ომშიც კონვეიერთან მდგარ კეთილსინდისიერ მუშებსა ჰგვანან.

* * *

...სულის სიცოცხლე იქ იწყება, სადაც ხილული ყოფნა იშვება რაღაცისგან, რაც ბევრად მაღლა დგას ამ ყოფნის შემადგენელ ნაწილებზე.

* * *

მთელი ძალით მძულს ჩვენი ხანა, ჩვენს დროში ადამიანს წყურვილი კლავს... მთელი სამყარო ერთი პრობლემის წინაშე დგას, ერთადერთი პრობლემის წინაშე: ადამიანთათვის სულიერი მნიშვნელობის დაბრუნების პრობლემების წინაშე. აშკარაა სულიერი მღელვარება, იმათი სმენა გრიგორიანული ფსალმუნით უნდა განიბანოს. უკეთუ მორწმუნე ვყოფილიყავი, გადავურჩებოდი რა ბინძურ, მაგრამ გარდაუვალ სამუშაოს, აუცილებლად მივაშურებდი ხოლმე სოლემს, რამეთუ სხვა არაფრის თავი არ მექნებოდა. შეუძლებელია კვლავაც მაცივრების, პოლიტიკის, ბელოტისა და კროსვორდების თამაშით ცხოვრება! აუტანელია... ბოლო სამი ათწლეულის სუყველა რყევა ორი მიზეზით არის წარმოქმნილი: ჩიხით, რომელშიც XX საუკუნის სისტემა აღმოჩნდა და სულიერი სასოწარკვეთით.

* * *

ბრიყვნი ძალიან საშიშნი არიან და კიდევ განათლებული ადამიანები, როცა ერთად იყრიან თავს. განათლებულობა გზაა, ერთბაშად ასი გზა კი უკვე საგაზრო მოედანია. ჭეშმარიტად სამ დიდ ადამიანს ვიცნობდი, სამივენი გაუნათლებელნი იყვნენ.

* * *

მოსაზრებანი ბრბოში არ ჩნდებიან, მოსაზრება ორის ურთიერთგავლენაა. ხან ერთი შეგნებული მკითხველიც საკმარისია.

* * *

შუასაუკუნეების სოფლებში დროის დინებას აზრი ჰქონდა. ადამიანი იქ თაობათა ჯაჭვის რგოლი იყო და ეკლესიის წყალობით გარდაცვლილნი იმის ცხოვრებაში ტრიალებდნენ. მიცვალებულნი თითქოს მუდმივობის რგოლები არიან, ჩვენი მიცვალებულნი კი ცარიელი უჯრედებია და ჩვენი ზაფხული არცრით არ უკავშირდება შემოდგომას: ეს უბრალოდ წელიწადის დრონია, ერთმანეთს ადევნებული. ოი, საცოდავი დაუცველი ადამიანები!

* * *

რა უცნაური რამ არის, რომ რწმენას ვერ ვიძენ. შესაძლებელია უფლის უიმედო სიყვარული: ეს სწორედ ის არის, რაც მინდოდა.

ეგრევე ვუთხარი ჩემს თავს: დიახ, ის არის, რაც აგრერიგად მწყურია, იმიტომ, რომ აქ ჩემთვის მზად იყო სარწყულებელი, მაგრამ ბახი ანდა XV საუკუნის რომელიმე სიმღერა თუ შემხვდებოდა, ასევე ვიტყოდი: აი, რაც მწყუროდა... და ბოლოს და ბოლოს წყურვილი ჩემი გზას აუქცევს იმათ, გზას აუქცევს ბახს და ყოველსავე საერთო ზღვარს, რაც არამც და არამც არ მეჩემება.

* * *

...უკეთუ ბახი მელაპარაკება, მაშასადამე, მაღიარა.

* * *

სუყოველი ადამიანი ეკლესიაა, სადაც შესაძლებელია ლოცვა, ოღონდ არა განუწყვეტლივ მთელი დღე.

* * *

სინამდვილეში არსებობენ მხოლოდ გზები და მუდამ გზად გადაგეყრება ისეთი არსება, რომელიც ერთ-ერთ ამ გზას არის ადევნებული.

* * *

დადგა ჟამი პატიოსნად დაფიქრებისა, ჟამი სიტყვათა აზრით ავსებისა, რომელმა დაფიქრებამაც და სიტყვებმაც საგაზრო ღირებულება დაკარგეს, ვინაიდან ჩვენ წინაშე ახალი პრობლემები გაჩნდნენ, არეულ-დარეულნი და ურთიერთსაწინააღმდეგონი.

* * *

თვითგამოხატვა აწმყოში უნდა, არადა, სწორედ აწმყოში არ გამომიხატავს ჩემი თავი. დღევანდელი ბევრად მეტი ვღირვარ, ვიდრე ჩემი თხზულებანი. ჩემი თავი ჩემსავე შრომაში თუ არ ჩავდე, დასტურ დაუშვებელი სულმოკლეობაა.

* * *

...მხოლოდ ერთი ხერხი რამ ვიცი საკუთარ სინდისთან შესახმატკბილებლად: ეს ტანჯვისთვის თავის აცილების ხერხია. ტანჯვა კი თავად უნდა ვეძიო, რაც მეტს მივაგნებ, მით უკეთესი.

* * *

ცივილიზაციის ხსნა უწყვეტი საქმეა.

* * *

დიახ, ის შევიძინე, რაც უნდა შემეძინა, რაც ყველა, მეც ისა ვარ.

* * *

ოდეს მდგომარეობას აანალიზებენ, ადამიანი ეკარგებათ.

* * *

უზომოდ მებრალებიან ადამიანები: სანამ სძინავთ, ყველაფერი ძილში ეპარებათ.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-24

ᲠᲐ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲝᲑᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲙᲕᲝᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ?!

ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ „ᲰᲐᲚᲘᲤᲐᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ“ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲝᲑᲘᲜ ᲨᲔᲞᲐᲠᲓᲡ!

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲒᲐᲛᲔᲪᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ „ᲰᲐᲚᲘᲤᲐᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ“ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲠᲝᲑᲘᲜ ᲨᲔᲞᲐᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛ ᲣᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ:

„ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲐ. ᲗᲣ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲐ ᲠᲐᲚᲐᲪᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲔᲢᲝᲡ. ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲢᲝᲠᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ. ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲐ. ᲗᲣ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ, ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲕᲔᲠᲙᲔᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲠᲗᲣᲚᲝᲡ.“

რასაკვირველია, ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი, რადგან ბ-ნი შეპარდის საუბარი ჩვენთვის კარგად ცნობილი „უფროსი ძმის“ (ასაკით უმცროსი, მაგრამ მაინც „უფროსი“) გაფრთხილება-ბრძანებას უფრო წააგავს, ვიდრე საქართველოს ბედით შეწუხებული ადამიანის წუხილს!

დასაწყისშივე ვუდასტურებ, ეჭვი არ მეპარება, რომ „კონგრესი უკიდურესად გავლენიანი ორგანოა“, მაგრამ ბ-ნ შეპარდს ავიწყდება განმარტოს, რომ აშშ-ის კონგრესი აშშ-შია უკიდურესად გავლენიანი ორგანო, რადგან იგი აშშ-ის მოსახლეობას, მისი წარმომავლობის სტრუქტურას და ტრადიციებსაა მორგებული და არა, საქართველოსას!

ბუნებრივია, ბ-ნი შეპარდის მიერ ნახსენები „გულმავიწყი ადამიანები“ ჩვენ, ქართველები ვართ, მაგრამ, მიუხედავად საქართველოს საკითხებში ღრმად განსწავლულობისა, მას მაინც ავიწყდება (ან არ უსწავლებიათ), რომ ჩვენ „არაფერი გვავიწყდება“ და მისმა „წყალგაუვალმა და უცერემონიო დასკვნამ“ მისი შორეული, სულიერი წინაპარი, რუსი ბოლშევიკი სუსლოვი მართლა გაგვახსენა.

ბატონი შეპარდისა არ იყოს, სუსლოვების და მათი ძმების თავგამოდებაც „უკეთილშობილესი კომუნისტური მომავლით“ ინათლებოდა, რაც, მათი აზრით, ქართველებს არ ესმოდათ და ქართველი ერის წინააღმდეგობას მიჰყავდა ისინი უმკაცრეს გადაწყვეტილებამდე, ურჩი ქართველები საქართველოდან გაესახლებინათ, მათ ადგლზე კი:

„შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად დაგვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დაყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხური ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შეავასრულოთ. პარალელურად, ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს.“ (პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალიდან „მებრძოლი საქართველო“ (26 მაისი, 2003 წელი).

...ისე რიხიანად დაიწყო ბატონმა შეპარდმა ჩვენი დამოძღვრა-ჭკუის სწავლება, იგი უსათუოდ მივა სუსლოვის იდეამდე (თუ დროზე არ შევაჩერეთ) და დრო რომ არ დაკარგოს ქართველთა მომავლის „ფორმირებაში“, მზა მასალას ვთავაზობ მას მშვიდობაში მოსახმარად!

თავის დროზე, ჩვენი ამერიკელი მოკეთეებისგან განსხვავებით, ბოლშევიკებიც კი უფრთხოდნენ საქართველოზე პირდაპირი და ღია ტექსტებით თავდასხმას.

მოუსმინეთ, რას ამბობდა მგზნებარე და მსხვილი კალიბრის ბოლშევიკი კიროვი 1921 წელს:

„არ შეიძლება, ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ამისათვის არაა საჭირო გახსნილად დავესახათ თავს საქართველოს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში, შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწყვეტენ მას“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6. VI. 1991).“

ყურადღება მიაქციეთ ბოლშევიკ კიროვის მინიშნებას ბატონო შეპარდ, რომელიც თქვენმა გაწვრთნილმა და საქართველოს მაოხარმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2008 წელს აღასრულა, როცა არა მარტო აფხაზეთი, სამაჩაბლოც ზედ მიაყოლა და რუსებს ჩააბარა!

შთამბეჭდავი მინიშნებაა:

„არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება.“

ასი წლის წინანდელი კიროვის „მიგნების“ დონეზე ხომ არ დარჩება აშშ-ის თანამედროვე, საინფორმაციო-პროვოკაციის დონეზე აღჭურვილი ბ-ნი შეპარდი?!

ბუნებრივია, არა... საქართველოს მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას ეტყობა აშკარად აშშ-ის ხელი, როცა მთავრობის (არა აქვს მნიშვნელობა, იგი კანონმორჩილია თუ პირიქით) დამხობისკენ მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას!

ყოველივე ამის ფონზე, გვიჩნდება კითხვა:

ამაზე უარესი რა უნდა დაგვმართოთ, ბატონო შეპარდ, რაც ახლა საქართველოში ხდება?

თქვენ პირდაპირ შეტევაზე გადადიხართ, ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს ხელისუფლებაზე! თქვენ კი იმასაც არ გვეუბნებით, ვის უკაფავთ გზას ხელისუფლებისკენ?

სიმართლე გითხრათ, არც აქ გვჭირდება თქვენი გულახდილობა!

უთქვენოდაც კარგად ვხედავთ, ვის უსუფთავებთ გზას ქვეყნის საბოლოო დაქცევისთვის და არა მისი აღმშენებლობისთვის, არა ზნეობისა და სამართლის დამკვიდრებისთვის, არა ბოლო 30 წლის მანძილზე თქვენ მიერ მხარდაჭერილთა მიერ დაშლილი საქართველოს გაერთიანებისთვის, არა სიყვარულის და სიმშვიდის დამკვიდრებისთვის, არამედ ჩვენი სამშობლოს მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნის მიზნით ხელისუფლებისკენ გზას უკაფავთ 1991 წლის „პუტჩის პიონერებს“, რომლებიც კარგა ხანია თქვენს ხელში დავაუკაცდნენ, ქვეყნის და მისი მოსახლეობის უზნეობაში ჩათრევის პრაქტიკაც გაიარეს და მზად არიან, ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში, საქართველო მოგიმზადონ ისეთი სახით, „რუს ბოლშევიკ სუსლოვს“ რომ სურდა...

სუსლოვმა ვერ შეიძლო ავი განზრახვის სისრულეში მოყვანა, მას პრაქტიკა, გამოცდილება არ ეყო (მაშინდელმა ქართველთა სიმტკიცემაც შეუშალა ხელი და უცხოთა მიერ მოსყიდული არც ამდენი მოღალატე ჰყავდა, რამდენიც დღეს), გოლგოთის გზაზე გაეყენებინა უდანაშაულო ქართველი ერი!

თქვენ კი, ბატონო შეპარდ, „რუს ბოლშევიკ სუსლოვთან“ შედარებით დიდი უპირატესობა გაქვთ, რადგან აბორიგენი ხალხების საბუდარიდან აყრის დიდი გამოცდილება გაგაჩნიათ, მხოლოდ ჰოლივუდის ფილმებს რომ შერჩენია მათი ისტორია და წარსული.

თქვენგან გაწვრთნილი და მხარდაჭერილი, თბილისის ქუჩებს (ამჟამად, სამწუხაროდ, თითქმის მთელ საქართველოში) სასტვენებით და მეგაფონებით მოდებული ნეოპუტჩისტების იმედად, არამარტო საქართველოს მთავრობის, ურჩი მეზობელი ქვეყნების ჭკუის სწავლებაც (გამოცდილება აქაც დიდი გაქვთ, მიშა-შეურაცხადის და მისი სახელმწიფო დამნაშავეების ექსპორტი უკრაინაში) შეგიძლიათ!

კეთილი განწყობით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

ქართველმა ხალხმა და, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობამაც ბევრი რამ ისწავლა ამასობაში თქვენი ძლევამოსილი სამშობლოსა და მისი პოლიტიკური ლიდერების „საგმირო“ საქმეებიდან, რომლებიც ბოლო ათწლეულში ჩვენს თვალწინ განხორციელდა.

ამ მხრივ მარტო პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე, სადაც ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება უნებართვოდ, მიშა-შეურაცხადის და მას მიბმული ასეულობით ე.წ. „რევოლუციონერის“ შეუჩერებელი მარშით შესვლის გახსენებაც საკმარისია!

ჩვენ მაშინ თქვენ – ამერიკელებს ტაში დაგიკარით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ:

უცხო ქვეყნიდან (პოლონეთი), უცხო ქვეყანაში (უკრაინა), უცხო ქვეყნის (საქართველოს) მოქალაქე სააკაშვილს და ასეულობით „აჯანყებულს“ უვიზოდ და უკანონოდ აშშ-ის გარდა ვერავინ შეიყვანდა!

ყოველ შემთხვევაში, რუსეთი ამას ვერ შეძლებდა!

ხშირად ჩვენ, ქართველები, ფალავნობის მოყვარულნი ვართ და ამიტომ დაგიკარით ტაში და არა იმიტომ რომ, რაც პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მოხდა, კანონიერი და მისასალმებელი იყო!

ამის გამო უამრავი ჩვენი ოპონენტი ნიშნისმოგებით გვეუბნება:

„ხომ ნახეთ აშშ-მა 45-მილიონიან უკრაინას რა უქნა, ჩვენ ვინ ვართ, მათ ნებას წინ აღვუდგეთო?!“

ღრმად პატივცემულო ბატონო შეპარდ,!

თქვენ უჩემოდაც კარგად გესმით, ხშირ შემთხვევაში მილიონების სიმრავლეს (მოსახლეობას ვგულისხმობ) გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს საქმის წარმატებისთვის. მითუმეტეს, როცა უცხო ქვეყნის მთავრობას ასე უტიფრად ემუქრებით, როცა ეს მუქარა პირდაპირი მინიშნებაა იმისა, კარსმომდგარ არჩევნებში, რომელი ძალის მოყვანას უჭერთ მხარს ხელისუფლებაში!

ზემოთ გაკვრით ვახსენე „1991 წლის პუტჩის პიონერები“... ყურადღება მიაქციეთ ამ ფრაზას, ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალების, პუტჩის შედეგია, რაშიც თქვენს პრეზიდენტყოფილ „მამა ბუშს“ დიდი წვლილი მიუძღვის. როცა მან საქართველოს ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ საქვეყნოდ განაცხადა:

„საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო!“

ამ ფრაზით „მამა ბუშმა“ მწვანე შუქი აუნთო რუსეთს და ედუარდ შევარდნაძეს, ისე ემოქმედათ საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ისინი მიიჩნევდნენ საჭიროდ. აშშ მათ საქმეში არ ჩაერეოდა!

რაც ამის შემდეგ მოხდა, უჩემოდაც კარგად იცით, მე მხოლოდ ერთს შეგახსენებთ:

ვისაც თქვენ საქართველოს მომავალ არჩევნებში ლობირებთ და გზას უკვალავთ ხელისუფლებისკენ, სწორედ იმ „პუტჩის პიონერები არიან“ უკლებლივ, რასაც საქართველოს მოსახლეობა შეაკვდება და არ მიიღებს!

თავს ნუ მოიტყუებთ, საქართველოს მოსახლეობა არც ქვეყნის დღევანდელი მთავრობისთვის იკლავს თავს, მაგრამ არაერთგზის ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ღალატსა და გამყიდველობაში მხილებულ ნაცებს და ევრონაცებს უკან არ დააბრუნებს!

დასასრულ, ბატონო შეპარდ, რახან „ბოლშევიკ სუსლოვს“ შეგადარეთ, არ იფიქროთ, თქვენგანაც საქართველოდან გასახლებას მოველოდეთ, ამას როგორ გაკადრებთ!

ჯერ ერთი, ციმბირში ჩვენ არავინ შეგვიშვებს, დასასჯელად თქვენს სამშობლოში რომ არ გვიზამთ პირს, ესეც კარგად გვესმის!

ამიტომ, ისე მოიქეცით, ერთმანეთის გვესმოდეს, დასასჯელი – მთავრობაც დაისაჯოს და ოპოზიციაც!

წერას ატანილი კონგრესმენები გააფრთხილეთ, მათი სქართველოსადმი „ამოხეთქილი სიყვარულის“ მიზეზი კარგა ხანია, ცნობილია!

საკმარისია, იმათ, ერთი პირობაც რომ ვერ შეუსრულონ, თქვენ მიერ გაწრთვნილ ე.წ. „ოპოზიციას“, ისინი მაშინვე საქვეყნოდ დაამღერებენ, თუ რა თანხა უჯდებოდათ კონგრესმენების მოწერილი წერილები!

დროულად მოაცილეთ პოლიტიკურ სპექტრს უზნეობაზე და ანტიქართულ საქციელზე ორიენტირებული, თქვენი გაწვრთნილი ძალები, ვიდრე მოსახლეობაში, კარგა ხნის მომწიფებული: **„ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲫᲕᲡ „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲩᲔᲫᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲡᲠᲔᲡᲡ ᲗᲣ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘᲝ“!** რეალობად იქცეოდეს და „უპირველეს პარტნიორად“, ღეშმარიტ მეგობრალ წოდებულ ამერიკელებს საქართველოს მტრად გამოგაცხადებდნენ, რუსებთან ერთად!

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲝᲒᲐᲚᲘᲐ,
ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ Cordon Bleu du Saint Espri ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲔᲕᲠᲘ

ტრამპი ყველაზე ძლიერი ბირთვული ძალების შექმნას გეგმავს

რუსეთთან და ჩინეთთან შეიარაღების კონტროლზე შეთანხმება თუ ვერ მიიღწევა, აშშ მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ბირთვულ ძალებს შექმნის, — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გუბერნატორებთან შეხვედრისას განაცხადა.

დონალდ ტრამპის თქმით, პეკინსა და მოსკოვს ერთდროულად სურთ, ვაშინგტონთან აწარმოონ მოლაპარაკებები, რათა ბირთვულ იარაღზე მილიარდობით დოლარის ხარჯვა შეჩერდეს.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ზომებზე შეთანხმების მოქმედება 2021 წლის დასაწყისში იწურება. პენტაგონში ფიქრობენ, რომ რუსეთს 2 000-მდე არასტრატეგიული ბირთვული იარაღი აქვს.

აშშ მთვარისა და მარსის ათვისების პროგრამების დაფინანსებას ზრდის



თეთრი სახლი აშშ-ის კონგრესს NASA-ს კოსმოსურ პროგრამებზე 2021 წლის ბიუჯეტში 25.2 მილიარდი დოლარის გამოყოფას სთხოვს. თანხის ნახევარი მთვარის და მარსის ათვისების პროგრამებს მოხმარდება. კერძოდ, საუბარია მთვარის მოდულზე, სკაფანდრების შექმნასა და მარსზე რობოტიზირებული მისიების მომზადებაზე. 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით, ბიუჯეტი 12%-ით გაიზარდა.

2019 წლის მაისში NASA-მ მთვარის შესწავლის პროგრამა „არტემიდა“ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ადამიანის დედამიწის თანამგზავრზე დაბრუნება 2024 წელს იგეგმება, 2028 წელს კი მთვარეზე მუდმივი ბაზა შეიქმნება. მარსზე ასტრონავტების დაშვებას კი NASA 2033 წელს გეგმავს.

ნემცოვის სახელობის მოედანი... რუსეთის საელჩოსთან

პრაღაში იმ ქუჩასა და მოედანს სახელს გადაარქმევენ, სადაც რუსეთის საელჩო მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, მას რუსეთის მთავრობის ყოფილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის სახელს დაარქმევენ. ჩეხური მედიის ინფორმაციით, 27 თებერვლისთვის შესაძლოა, ქალაქის საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც პოდ კაშტანის მოედანს სახელად დაერქმევა ბორის ნემცოვის მოედანი, რაც მისი მკვლელობის მე-5 წლისთავს მოხდება.

ჩეხეთის იმ ძირითადმა პარტიებმა, რომლებიც პრაღის საკრებულოში არიან წარმოდგენილნი, მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებას. 2018 წლის თებერვალში ბორის ნემცოვის მოედანი გაიხსნა ვაშინგტონში იმ ქუჩაზე, სადაც რუსეთის საელჩო მდებარეობს. აღნიშნული ქმედება აგრეთვე გაიმეორეს ლიეტუვას დედაქალაქ ვილნიუსში.

შეგახსენებთ, რომ ბორის ნემცოვი, რომელიც პუტინის მთავარი კრიტიკოსი და ოპოზიციური გაერთიანების ლიდერი იყო, მოკლეს 2015 წლის 27 თებერვალს მოსკოვში, კრემლის წინ ხიდზე.



2020 წელი მსოფლიო რუკაზე ირან-ამერიკის მორიგი დაპირისპირებით გაიხსნა. არც ისრაელ-პალესტინას შორის არის დამთბარი სიტუაცია. კიდევ სად შეიძლება ველოდოთ მორიგ ცხელ კერებს მსოფლიოში და რა კორექტივები შეიტანა დონალდ ტრამპმა სამყაროს დღის წესრიგში? ამის შესახებ დღეს ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.

გეოპოლიტიკური აჯაფსანდალი

— მსოფლიოში სურათი რამდენად შეიცვალა ირან-ამერიკის სერიოზული დაპირისპირების შემდეგ და მართლაც აგვაცილა თუ არა დონალდ ტრამპმა მესამე მსოფლიო ომს?

— მართალია, ორივე მხარემ, როგორც ირანმა, ისე ამერიკამ უკან დაიხიეს და თავიანთი ამბიციები დაიოკეს, მაგრამ მათ შორის ჰიბრიდული ომის ელემენტები კვლავაც გრძელდება. ირანელები კვლავ განაგრძობენ ამერიკის საელჩოს დაბომბვას. ორი ასეთი შემთხვევა მოხდა, როცა ერაყში, ბაღდადში ამერიკის საელჩო დაიბომბა, ნასროლი იყო ექვსი რაკეტა, აქედან სამი რაკეტა დაეცა უშუალოდ ამერიკის საელჩოს ახლოს მდებარე ტერიტორიას. ამერიკელებმა გამოაქვეყნეს კიდეც სრული სია, თუ რამდენი სამხედრო მოსამსახურე დაშავდა მსუბუქად, ტვინის შერყევა და მსუბუქი ჭრილობებიც დაფიქსირდა იმ დარტყმების შედეგად, რაც განხორციელდა ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ ირანელების მხრიდან. ამის შემდეგ კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა ამერიკის სამხედრო ბაზაზე და მერე იყო ამერიკის საელჩოზე კიდევ ორი დარტყმა.

სულ რამდენიმე დღის წინათ კი გახმაურდა საინტერესო ფაქტი, რომელიც ადასტურებს იმ ჰიპოთეზას, რომელიც მე ადრეც გამოვთქვი, რომ შეიძლება, ირანის სპეცსამსახურებმა დაამყარონ კავშირი თალიბანის მოძრაობასთან და მოახდინონ ერთობლივი ძირგამომთხრელი საქმიანობა ამერიკელების წინააღმდეგ. კერძოდ, ახლახან ღაზის პროვინციაში ჩამოვარდა ამერიკული სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავი, სადაც, სავარაუდოდ, ათამდე ამერიკელი იმყოფებოდა, ძირითადად უფრო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრები. თალიბები ამბობენ, რომ მათ ჩამოაგდეს ეს თვითმფრინავი სტინგერის სარაკეტო კომპლექსის მეშვეობით, ამერიკელები კი ირწმუნებიან, რომ თვითმფრინავი ჩამოვარდა ტექნიკური პრობლემის გამო.

— თუკი ეს ფაქტი დადასტურდა, ეს ნიშნავს, რომ ირანის გაჩუმება მოჩვენებითია და ის უკან არ იხევს?

— ამ ფაქტის დადასტურების ალბათობა მაღალია, რადგან ამერიკელები ძალიან საეჭვოდ არიან გაჩუმებულნი. სხვათა შორის, თვითმფრინავი ჩამოვარდა თალიბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამერიკელების შეიარაღებული ძალების დიდი კონტინგენტი გაიგზავნა ამ ტერიტორიაზე, რათა თვითმფრინავი უკან წამოეღოთ, მაგრამ თალიბებმა ეს კონტინგენტი შეაჩერეს და ამერიკელებს არ მისცეს საშუალება, მისულიყვნენ კონკრეტულ ადგილამდე. თუმცაღა შემდგომში, მოლაპარაკების შედეგად, ამერიკელებმა, როგორც ჩანს, მოახერხეს დაღუპულ ამერიკელთა ნეშტების მიღება. თუ დადასტურდა, რომ იქ დაღუპულია ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის ორგანიზატორიც, მაშინ შეიძლება დადასტურდეს ჰიპოთეზა, რომ ირანის სპეცსამსახურები და თალიბანი ერთმანეთთან არაფორმალურად თანამშრომლობენ ამერიკელების წინააღმდეგ და ეს იყო მათი მხრიდან შურისძიების ტიპის ოპერაცია.

— ტრამპს საამაყოდ ჰქონდა, რომ მესამე მსოფლიო ომს გადაარჩინა სამყარო. მართლაც ასეა?

— მესამე მსოფლიო ომს სამყარო დროებით გადარჩენილია. თუმცა, კითხვები გააჩინა ტრამპის მიერ შემოტანილმა სამშვიდობო ინიციატივამ, რომელსაც, წესით, ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია კარდინალურად უნდა შეეცვალა. ამისთვის ვაშინგტონში დაიბარეს ისრაელის მმართველი თუ ოპოზიციური პარტიების ლიდერები, ტრამპმა ეს საკითხი შეათანხმა ისრაელის მხარესთან, მაგრამ პალესტინის მხარესთან საკითხი არ იყო შეთანხმებული. წესით, აქ უნდა ყოფილიყო სერიოზული გარღვევა, ანუ კემპ- დევიდის ტიპის ისტორიული ხელშეკრულების მსგავსი უნდა ყოფილიყო ტრამპის მიერ შემოტანილი სამშვიდობო ინიციატივა. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ ამერიკა მზად იყო, ხელი შეეწყო, პალესტინელებს გამოეცხადებინათ თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მოგეხსენებათ, ებრაული და არაბული ნაწილი გაყოფილია დიდი კედლის მეშვეობით, სწორედ კედლის აღმოსავლეთით მდებარე არაბული რაიონი უნდა გამოცხადებულიყო პალესტინის ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად, უნდა მომხდარიყო ღაზის სექტორში რადიკალური ისლამის ჯიჰადისტური დაჯგუფების ალაგმვა, ისრაელს უნდა გამოეყვანა პალესტინის ავტონომიური რესპუბლიკიდან ისრაელის რეპატრიანტები და ამის საფუძველზე, თუ ადამიანის უფლებები იქნებოდა დაცული, ამერიკა მზად იყო, ჩაედო 50 მილიარდი დოლარი ახალი პალესტინის სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში. ეს ინიციატივა ტრამპმა თავის ჩვეულ ეპატაჟურ სტილში მხოლოდ ისრაელის მხარესთან შეათანხმა და პალესტინელებთან არ შეათანხმა, რამაც სერიოზული გართულება გამოიწვია, პალესტინის ავტონომიის ლიდერმა აბასმა უარყო ტრამპის წინადადება და ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი დაძაბულობის კერების გაჩენა, ვინაიდან პალესტინელებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს.

ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც და სხვა რეგიონებშიც უკვე აღარ ემთხვევა ერთმანეთს

როგორც ვატყობ, სიტუაცია კიდევ უფრო აირევა, შეიძლება, ამერიკა-ირანის ომი არ იყოს, მაგრამ ირან-ისრაელის ომის ალბათობა შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს. კიდევ ერთი ნიუანსია, ისლამური სახალიფოს ახალმა ლიდერმა პირველი მიმართვა გააკეთა და განაცხადა, რომ ისლამური სახალიფოს ხელმძღვანელობის პერიოდში მისი მთავარი მიზანი ისრაელის განადგურება იქნება.

— როგორც ჩანს, საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა მოსალოდნელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე. ასეთ ვითარებაში, ალბათ, აიწევს რუსეთის წონა.

— საგარეო პოლიტიკაში მართლაც სერიოზული დაპირისპირებაა მოსალოდნელი და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება რუსეთს, სამწუხაროდ, რუსეთი დღეს რჩება სამმხრივი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთ მოთამაშედ. ეს გახლავთ სამგანზომილებიანი მსოფლიო წესრიგი, სადაც მთავარი მოთამაშეები არიან ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი. ეს ჩემი სიტყვები არ არის, ეს მიუნჰენის საერთაშორისო კონფერენციაზე ექსპერტთა ჯგუფებმაც დაადასტურეს. ევროპელი პო-

ლიტიკოსები ადასტურებენ, რომ ჩვენ გვაქვს ტრიპოლარული მსოფლიო წესრიგი.

— ანუ კვადროპოლარულიდან გადავედით ტრიპოლარულ სამყაროზე?

— ფაქტობრივად, ევროკავშირმა არ გაამართლა. ბრიტანეთში ჯონსონისა და კონსერვატიული პარტიის გამარჯვებამ ბრექსიტი რეალური ძალა გახადა. სამწუხაროდ, ევროკავშირმა ვერ შეძლო, შეექმნა სამხედრო კომპონენტი, ერთიანი თავდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკა, რაც აუცილებელი იყო იმისთვის, რომ მას გლობალური გავლენის ცენტრის სტატუსი ჰქონოდა. დღეს ევროკავშირის გავლენის სფეროები შეზღუდულია, ევროკავშირის წევრებს შორის დიდი პრობლემებია. ევროკავშირმა გაფართოების პოლიტიკაც შეაჩერა, გაფართოების პოლიტიკა, სადაც საქართველო, მოლდოვა, ბალკანეთი მოიაზრება, შეჩერებულია და როდის განახლდება ეს პოლიტიკა, არავინ იცის.

— ამ ტრიპოლარულ სამყაროში ამერიკა დაწინაურდება, ჩინეთი, თუ რუსეთი, ალბათ, არავინ იცის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ აგრესიული რუსეთი მოუთოკავია და პერიოდულად შეუზღუდავი დიაპაზონის მქონე ბირთვულ რაკეტებს ცდის. რუსეთის საპირწონე ამერიკას შესწევს ძალა, შეაჩეროს კრემლის არაპროგნოზირებადი აგრესია?

— ამერიკას შესწევს ეს ძალა, მაგრამ მე უფრო გამოვარჩევდი ჩინეთს. რუსეთს ბევრი აკლია, ჩინეთამდე მივიდეს. ჩინეთი არის მეორე მსოფლიო ეკონომიკური ცენტრი. სხვათა შორის, ჩინეთმა სერიოზულად გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი. ფაქტობრივად, ყველა კონტინენტზე ჩინეთს თავისი ინტერესები გააჩნია, ისევე, როგორიც ამერიკელებს. ბოლოს და ბოლოს, ჩინეთს უფრო მეტი ინტერესი აქვს კავკასიის რეგიონთან მიმართებით, ვიდრე ამერიკას. მე მაგალითად, რუსეთის საწინააღმდეგოდ ჩინეთსაც განვიხილავდი, რადგან ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც და სხვა რეგიონებშიც უკვე აღარ ემთხვევა ერთმანეთს და საპირისპიროდაც კი მიდის. მაგალითად, აფრიკაში უკვე მოხდა ჩინეთისა და რუსეთის ინტერესების დაპირისპირება.

— მაგრამ ჩინეთსა და რუსეთს ჰყავთ საერთო მოწინააღმდეგე ამერიკის სახით.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთსა და რუსეთს გაჩნიათ საერთო მოწინააღმდეგე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტრიპოლარული სამყარო არ არის კოალიციური, ამ სამივე ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ინტერესები და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ანუ ამერიკა დაუპირისპირდეს ჩინეთს, ჩინეთი-ამერიკას, რუსეთი — ამერიკას, მაგრამ, ამავე დროს, ჩინეთი შეიძლება დაუპირისპირდეს რუსეთსაც. ეს სიტუაცია ჩვენთვის ძალზედ ახალი გეოპოლიტიკური მოცემულობაა. საქართველო ჩარჩა ცივი ომის მენტალიტეტში, ჩვენ მხოლოდ ვხედავთ ორ ძალას — დასავლეთსა და აღმოსავლეთს. სინამდვილეში ასე არ არის, ჩვენ ახალი რეალობის წინაშე ვდგავართ და მენტალურადაც არ ვართ ამისთვის მზად. ჩვენ ისიც არ ვიცით, როგორ იმართება დღევანდელი მსოფლიო წესრიგი.

— როდესაც ვერსიებზე ვსაუბრობთ, ხომ შეიძლება, ამერიკა-რუსეთი ერთად დადგნენ საერთო მტრის — ჩინეთის წინააღმდეგ?

— ტრიპოლარული მსოფლიო წესრიგი ასეთ კომბინაციებს თავისუფლად ითვალისწინებს. მაგალითად, ამერიკა და ჩინეთი ჰარმონიაშია იმ მხრივ, რომ ორივე დიდი სახელმწიფო მხარს უჭერს საქართველოს დე ფაქტო რეგიონების არაღიარების პოლიტიკას, რაც რუსეთის საწინააღმდეგოა, მაგრამ ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება არც ჩინეთს აწყობს, არც რუსეთს. ამით რუსეთისა და ჩინეთის თანხვედრაა, შეაკავონ ამერიკელების ჰეგემონიზმი მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან არეალზე. ამავე დროს, სამივე ქვეყნის ინტერესი აფრიკაში საპირისპიროა. აღმოსავლეთშიც საინტერესო კომბინაციაა, იქაც იკვრება რუსეთისა და ჩინეთის ინტერესები ამერიკის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, ავღანეთში სამივე ქვეყნის ინტერესი ერთადაა შეკრული — ჩინეთის, რუსეთის და ამერიკის, რათა ავღანეთში არ მოვიდნენ რადიკალური ჯიჰადისტური ძალები და სამივე ქვეყნის წინააღმდეგ არ წარმართონ სერიოზული დაპირისპირება.

— რაც შეეხება ჩვენს მეორე მეზობელ თურქეთს, ერდოღანის მმართველობისთვის დამახასიათებელი თურქეთ-ამერიკის დაპირისპირება კვლავაც გაგრძელდება?

— ეს დაპირისპირება გაგრძელდება, ამაში ეჭვი არ მეპარება. მე მგონი, აქ უკვე სხვა თამაშის წესები ვითარდება, თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა კიდევ უფრო გართულდება, რადგან ამერიკამ შემოიღო სანქციები არა მარტო „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის, არამედ „სამხრეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგაც. აქ უკვე თურქეთის პირდაპირი ინტერესებია და თურქეთმა განაცხადა კიდეც, თუ „სამხრეთ ნაკადის“ წინააღმდეგ მოხდებოდა ზომების მიღება, ისინი სანქციებს გამოუცხადებდნენ ამერიკასაც.

— კავკასიურ გეოპოლიტიკას თუ გადავხედავთ, აქ ერთმანეთთან დაპირისპირებული ორგვარი გეოპოლიტიკური სამკუთხედი არსებობდა. ამ სამკუთხედების ორთაბრძოლა როგორი იქნება?

— ერთი მხრივ, იყო აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სამკუთხედი და, მეორე მხრივ, იყო სომხეთის, რუსეთისა და ირანის სამკუთხედი... სიტუაცია ახლა კურიოზულია, მაგალითად, თურქეთი და აზერბაიჯანი რუსულ ორბიტაზე არიან, საინტერესოა, ალიევის განცხადებები, როდესაც მან ევროგაერთიანება საერთოდ მოთხარა და განაცხადა, ევროგაერთიანება არასამართლიანი გაერთიანებაა და თურქეთს სადაც არ მიიღებენ, არ გვჭირდება ჩვენ მათთან არანაირი თანამშრომლობა და არ გვჭირდება ევროგაერთიანებაში გაწევრიანებაო. ეს სერიოზული განცხადებაა. რაც შეეხება ირანსა და სომხეთს, მათ რუსეთთან განსხვავებული ურთიერთობები აქვთ. ბოლოს და ბოლოს, ირანი და რუსეთი არიან კოალიციური მოკავშირეები აღმოსავლეთში.

— საქართველოში ბევრი ადამიანი იმშვიდებს გულს, რომ რუსეთ-თურქეთის ერთობა მაინც დროებითი იქნება მათი ისტორიული მტრობიდან გამომდინარე.

— დროებითია თუ არა, ამ„ დროებითობამ“ საქართველოს დააკარგვინა დამოუკიდებლობა და 70 წელი აღმოვჩნდით კომუნისტური მმართველობის წიაღში. სხვათა შორის, მაშინდელი ათა თურქისა და ლენინის ძმაკაცობა კარგა ხანს გაგრძელდა, ათა თურქი გარდაიცვალა 1934 წელს, მაგრამ მაშინდელი თურქეთის რესპუბლიკა იყო საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი მოკავშირე. 1938 წლის შემდეგ უკვე გადავიდა გერმანულ პოზიციებზე. მეტსაც გეტყვით, ანკარაში თავისუფლების ქანდაკებაზე, რომლის წინა პლანზეც ათა თურქია გამოსახული, უკანა პლანზე გამოსახულნი არიან ვოროშილოვი და აჩალოვი, ანუ საბჭოთა ლიდერები.

— ამერიკა-რუსეთს შორის ამჟამად როგორი ურთიერთობაა და დათმობს თუ არა საქართველოს დასავლეთი?

— დასავლეთიც ჰომოგენური აღარ არის. თურქეთი და ამერიკა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაკრონმა ისიც თქვა, ნატოს ტვინი უკვე მოკვდაო და ლონდონის სამიტმაც აჩვენა სერიოზული დაპირისპირება. თურქეთმა საერთოდ დაადო ვეტო და გააჩერა დახმარება სტრატეგიულ მოკავშირებზე — პოლონეთსა და ბალტიის სახელმწიფოებზე. ამაზე მეტი საჩუქარი რა უნდა გაეკეთებინა ერდოღანს პუტინისთვის? ფაქტობრივად, თურქეთმა სამხედრო დახმარების პროგრამა შეაჩერა, რომელიც გულისხმობდა პოლონეთის, ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის სამხედრო თავდაცვას რუსული აგრესიისგან. პარალელურად, ჩვენ ვხედავთ, კავკასიის რეგიონში რუსული გავლენა იზრდება, აზერბაიჯანმა აირჩია პრორუსული ორიენტაცია. სომხეთში ფაშინიანმა არ გაამართლა ფერადი რევოლუცია და სომხეთი კვლავ რუსულ ვექტორზეა, თქვენ წარმოიდგინეთ, თურქეთიც უკვე გადმოვიდა რუსულ ვექტორზე და საქართველო უკვე ალყაშემორტყმული ერთადერთი კუნძულია.

— როგორც ჩანს, სანქციებმა დიდად არაფერი ავნო რუსეთს და რუსეთი კვლავაც ძლიერდება?

— არ ავნო, რუსეთმა მოახდინა ეკონომიკის რეფორმირება, რუსმა ოლიგარქებმაც მოასწრეს თავიანთი კაპიტალის გადატანა და დაბანდება აზიისა და ჩინეთის ტერიტორიაზე.

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაუმჯობესდება თუ გაუარესდება?

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დამოკიდებულია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებზე და იმაზეც, ახალი ცივი ომის პროცესები როგორ წარიმართება, ეს გადავა ცხელ ფაზაში თუ ცივ ფაზაში დარჩება. რუსეთი ჩვენ რომ არ შეგვეშვება, ეს ფაქტია.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ტეკილას სასაქონლო ნიშნით საქართველოში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩიქოვანი მექსიკის შეერთებული შტატებიდან ტეკილას მარეგულირებელი საბჭოს დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში ტეკილას სასაქონლო ნიშნის ოფიციალურად დარეგისტრირების საკითხი განიხილეს. დელეგაციას ტეკილას მარეგულირებელი საბჭოს თავმჯდომარე მიგელ ანგელ დომინგო მორალესი ხელმძღვანელობდა.

ლევან დავითაშვილმა საქართველოში ტეკილას სასაქონლო ნიშნის ოფიციალურად დარეგისტრირების საკითხის და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მინისტრმა ყურადღება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესზე და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

მიგელ ანგელ დომინგო მორალესის განცხადებით, ღვინის სამშობლოს მიერ ტეკილას სასაქონლო ნიშნის აღიარება ორ ქვეყანას შორის ეფექტიანი თანამშრომლობის საფუძველია.

შეხვედრის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა ღვინის ეროვნული სააგენტოს ენოთეკა, მარანი და მუზეუმი დაათვალიერეს.

როგორ გამოვიყენოთ წყალი დიდი ყინვისას...

კომპანიები „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, რუსთავისა და მცხეთის წყალი მომხმარებლებს რეკომენდაციით მიმართავენ. კომპანიების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღრიცხვის კვანძის და წყალსადენის სისტემის მოყინვის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, ზედაპირულად და ღია სივრცეში განლაგებული კვანძები და ქსელები შეფუთული იყოს. ამასთან, სასურველია, ღამის განმავლობაში მომხმარებლებმა მოშვებული დატოვონ ონკანები წყლის მცირე ჭავლით.

„ამავე პერიოდში, იმ აბონენტებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან, როგორც საყოფაცხოვრებო, ანუ ფიზიკური პირი, წყლის ჭარბი მოხმარების საფასური დაუკორექტირდებათ აღნიშნული კომპანიების სერვის ცენტრებში განცხადებით მიმართვის საფუძველზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

როდის აღდგება რუსეთისკენ საჰაერო მიმოსვლა?

საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც თბილისის რუსოფობიური კამპანია შეწყდება და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების ნებისმიერი საშიშროება გაქრება, — ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი რუდენკომ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში გააკეთა.

მისი თქმით, შეზღუდვის მოხსნაზე საუბრის დაწყება მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა შესაბამისი პირობები შეიქმნება.

ჩინეთში კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 1 016-მდე გაიზარდა

ჩინეთში ახალი ტიპის კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 1 016-მდე გაიზარდა. 10 თებერვალს ვირუსით ხუბეის პროვინციაში 103 ადამიანი დაიღუპა. აღნიშნულ რეგიონში 10 თებერვალს დაინფიცირების 2 097 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 9 თებერვალს კი ვირუსი 2 618 ადამიანს დაუდგინდა.

ჩინეთში ახალი ტიპის კორონავირუსით სულ 42 200 ადამიანია დაინფიცირებული. დაღუპული ადამიანების სამი მეოთხედი სწორედ ხუბეის პროვინციაში ცხოვრობდა.

ვირუსთან არასაკმარისი ბრძოლის ბრალდებით, ჩინეთის ხელისუფლებამ ხუბეის ჯანდაცვის კომისიის ხელმძღვანელი და პარტიის მდივანი, ასევე წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის დირექტორის მოადგილე, თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ფორუმი

არაბული ფინალშია!

იტალიის დედაქალაქში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს დელეგაციას პირველი პრიზიორი ჰყავს. 130 კგ წონით კატეგორიაში შესანიშნავად ასპარეზობს ლევან არაბული, რომელმაც ფინალს უწია.



ნახევარფინალში არაბულმა ფინელი არვი მარტინ სავოლაინენი აშკარა უპირატესობით დაამარცხა და სატიტულო ბრძოლაში რუმინელ ალინ ალექსის ციურარიუს დაეჭიდება. ქართველმა ფალავანმა რომში თავდაპირველად ხალიჩის მასპინძელი ელ მაჰდი როკარო 9:0 გაანადგურა, ხოლო შემდეგ ამავე ანგარიშით გერმანელი იელო კრამერი დააჩოქა.

დღესვე ბრინჯაოს მედლისთვის მოუწევს ბრძოლა ნუგზარ წურწუმიას (55 კგ), რომელიც ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ რუს ვიტალი კაბალოევთან 2:5 დამარცხდა. იქამდე ქართველმა მსოფლიო ჩემპიონმა პირველ წრეში ავსტრიის სახელით მოასპარეზე სარგის გევორგიზიანი აშკარა უპირატესობით – 8:0 დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში იგივე ანგარიშით მოლდოველ არტიუმ დელანუს სძლია.

კობა კობახიძე

პროფესიონალი

დარბაზშიც, მარანშიც...

ბატონ მურმან ქურიძეს იმ საბედისწერო 90-იანი წლებიდან ვიცნობ, როცა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ზოგ-ზოგიერთები იარაღს აჟღარუნებდნენ და სადავო ეპიზოდების გადაწყვეტას აწეული ტონით ცდილობდნენ.

მაშინ, როცა მოთამაშეებს შუქი და ცხელი შხაპი ენატრებოდათ, მათთვის დისციპლინისა და წესების დაცვა, აბა, როგორ უნდა მოგეთხოვა, მაგრამ პრინციპულობითა და ობიექტურობით გამორჩეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი შეუვალი გახლდათ და კომპრომისზე არ მიდიოდა.

შესაძლოა, ამით ადგილობრივი მნიშვნელობის სიამენი დააკლდა, მაგრამ უმთავრესი – პროფესიონალის სახელი და ავტორიტეტი შეინარჩუნა, რასაც, დამეთანხმებით, ერთეულები თუ ახერხებენ.

ასეთად რჩება ჩვენი გაზეთის ძველი მეგობარი სამსაჯო კარიერის დასრულების შემდეგაც. დარწმუნებული ვარ, მართალი სიტყვის ტრფიალთ კარგად ემახსოვრებათ მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, პირუთვნელი პოზიცია ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის თაობაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულად გვესახება მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით გამოთქმული მისი კომპეტენტური შეხედულებები. ალბათ, სპორტის მოყვარულთაგან ცოტამ თუ იცის, რომ ბატონ მურმანს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვს მიღებული ტექნოლოგიის განხრით.

ორი მუზის მსახურისთვის, სამწუხაროდ, არც ცხოვრებისეული დარტყმებია უცხო, მაგრამ სულით უტეხი პიროვნება ყველაფერს ვაჟკაცურად უმკლავდება და პირადზე წინ საზოგადოს აყენებს.

ამიტომაც გვეძვირფასება ღირსეული იუბილარი, რომელსაც დიდი პატივისცემით ვულოცავთ 75 წლისთავს.

გია პლატონიშვილი

ლეგიონერი

არის ტიტული!

„იბეროსტარ ტენერიფე“ ფიბას საკონტინენტთაშორისო თასის უკვე ორგზის გამარჯვებულია. გიორგი შერმადინის გუნდმა, რომელიც ტრადიციულ ოთხთა ტურნირს მასპინძლობდა, გადამწყვეტ შეხვედრაში იტალიური „ვირტუს ბოლონია“ 80:72 დაამარცხა.

ესპანელები უპირატესობას მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ და ყურადღება ოდნავ დასკვნით მეოთხედში მოადუნეს, თუმცა, გამარჯვება მაინც არ გასჭირვებიათ.

შერმადინმა 26 წუთი ითამაშა და ხსენებულ დროში პარტნიორებს 18 ქულით, 7 მოხსნითა და 1 ჩაჭრით შეეწია. ქართველმა ცენტრმა 12-დან 6 ორქულიანი (50%) და 8-დან 6 საჯარიმო (75%) ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა.

კუნძულელთა რიგებში საუკეთესო მარსელინიო უერტასი იყო, რომელმაც 23 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.

ვიტალი ჯაფარიძე

ტრაგედია

ჭაბუკი მორაგბის ბედისწერა

გარდაიცვალა ჭაბუკი ქართველი მორაგბე ზურაბ ბურჯანაძე. 15 წლის სპორტსმენის სიცოცხლე სიმსივნის შედეგად, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დასრულდა.

ბურჯანაძემ თამაში 10 წლისამ დაიწყო და „აკადემიაში“ ირიცხებოდა. ზურაბი 12 და 7-კაცა რაგბიში საფესტივალო ასაკის ტურნირების გამარჯვებული გახლდათ.

ბეჟან დოლიძე

პერსპექტივა

იტალიაში ელოდებიან

„იუვენტუსი“, შესაძლოა, ზაფხულში პეპ გვარდიოლამ ჩაიბაროს. ბრიტანული გამოცემა The Sun-ი იტყობინება, რომ ესპანელი სეზონის ბოლოს „მანჩესტერ სიტის“ დაემშვიდობება, ხოლო მისი მომავალი კლუბი „ბებერი ქალბატონი“ იქნება, რომელიც ფავორიტია.

პეპეს „ქალაქელებთან“ კონტრაქტი 2021 წლამდე აკავშირებს, მაგრამ, „სიტის“ სეზონიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ ერთი წლით ადრე დატოვოს გუნდი.

გვარდიოლას „სიტიდან“ წასვლის დრო ემთხვევა „იუვენტუსის“ გარდამტეხ პერიოდს, სადაც მაურიციო სარის მუშაობით მთლად კმაყოფილნი არ არიან.

პეპს იტალიურ გრანდს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულში უკავშირებდნენ და ცნობილია, რომ პრეზიდენტი ანდრეა ანიელი კატალონიელის სამსახურით დიდი ხანია დაინტერესებულია. მან გუშინ პირადი შეხვედრა მაურიციო სარისთანაც გამართა, რაც, ცხადია, მის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მიუთითებს.

შეგახსენებთ, რომ პეპ გვარდიოლას აქამდე აპენინების გარდა ყველა წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატში აქვს ნამოღვაწარი და სულაც არაა გამორიცხული, რომ მისი მომდევნო გაჩერება სწორედ ტურინი და სერია A იყოს, სადაც ფეხბურთელობის პერიოდში თამაშობდა.

გიორგი ზოთაძე

ცოლმაც აღიარა

ამ სამი წლის წინათ, როდესაც გერმანიის ნაკრების ყოფილმა მობურთალმა შტეფან კისლინგმა კარიერა 34 წლის ასაკში დაასრულა, პირი მოაღო და საჯაროდ აღიარა, რომ მწვრთნელებს გამუდმებით ატყუებდა და არასოდეს ასრულებდა მათ მიერ დაწესებულ სპორტულ ნორმატივებს.

როგორც აღმოჩნდა, შტეფანს სახლში ატანდნენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელიც ზომავდა, სპორტსმენი თუ რამდენ კილომეტრს დარბოდა საშუალოდ და შტეფანს რაკი ბევრი სირბილი ეზარებოდა, ეს მოწყობილობა ხშირად მის მეუღლეს ნორინა კისლინგს ედო ჯიბეში და ამ გზით ხდებოდა მწვრთნელთა მოტყუება.

ახლა, როდესაც ამ ამბიდან საკმაო დრო გავიდა, ნორინა კისლინგიც აღიარებს მომხდარს და ამბობს, რომ რაკი ბავშვობიდან სპორტული ცხოვრების წესით ცხოვრობს, მისთვის ათეულობით კილომეტრის დაფარვაც კი ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამას, როგორც უკვე ვთქვით, ზარმაცი მობურთალი სათანდოდ იყენებდა და ასე არიდებდა თავს მომქანცველ კროსებს.

(მეხუთე გვერდიდან)

აბა ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ? უნდა ვივაჭროთ, გავზარდოთ მხოლოდ ღვინის წარმოება, განვავითაროთ ტურიზმი, ვაშენოთ სასტუმროები, რესტორნები და ტურისტებს ქართული სტუმართმოყვარეობით მოვემსახუროთ.

აკი ასეც ვიქცევით. არც მთავარ პარტნორს (აშშ) და არც სხვა მეგობარ ქვეყნებს სასაყვედურო არაფერი აქვთ. სწორედ მათი კარნახითა და რჩევებით, მწარმოებელი ქვეყნიდან სულ რამდენიმე წელიწადში ვიქეცით მომსახურე (ძირითადად მომსახურე!) ქვეყნად. იქამდეც კი მივედით, რომ როდესაც ქვეყანა იღებს უცხოურ კრედიტს, მას მოჰყვება ვალდებულება, რომელშიც წერია, რომ მხოლოდ მოხმარების საგნების შეძენა შეგვიძლია. ჩვენ ვლაპარაკობთ თავისუფალ ვაჭრობაზე, რომელიც ხელშეკრულებით გაფორმებული გვაქვს ამა თუ იმ ქვეყანასთან, მაგრამ რეალურად არ გვაქვს ასეთი თავისუფალი ვაჭრობა. ხსენებული ხელშეკრულებები, ფაქტობრივად, არის მარტივი, განვითარებადი, მესამე ქვეყნების სრული დამონებისთვის განკუთვნილი, რადგან ვაჭრობს ის, ვინც განვითარებულია. ჩვენ არ გვაქვს ვაჭრობით მიღებული დიდი სარგებელი, რადგან საქართველოდან ძირითადად გადის ნედლეული და შემოდის მზა ნაწარმი. საქართველოს არა აქვს პრივილეგია, ჰქონდეს საკუთარი წარმოება და საზღვარგარეთ გაჰქონდეს თავის ნაწარმი.

ამ ფონზე, როცა ქვეყნის ეკონომიკა კუს ნაბიჯით მიცოცავს (ამ ტემპით მოწინავე ევროპულ ქვეყნებს ვერასოდეს დავეწევით), ცოტა უხერხულად მეჩვენება დასავლელ პარტნიორთა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა აღფრთოვანება და ქართველ ხელისუფალთა ტრაბახი გატარებული რეფორმებით, ეკონომიკის ყოველწლიური 5-პროცენტიანი ზრდით, ბიზნესის განვითარებისთვის საუკეთესო პირობების შექმნით, მთელ რეგიონში გამორჩეული მიღწევებით, რომელთა უკანაც მორცხვად იღიმება არცთუ სახარბიელო რეალობა: ქრონიკული უმუშევრობა, სიღარიბე, მოშიმშილე მოსახლეობა, ბავშვთა სიკვდილიანობა. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში 4300 ახალშობილი დაიღუპა. ამჟამად 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და არსებობს რისკი, რომ ისინიც შიმშილით დაიხოცონ.

მართალია, წელს ხელისუფლება ბავშვთა დახმარების სოციალურ პაკეტს ზრდის, მაგრამ საეჭვოა, რომ მან ამ სფეროში არსებული ყველა მწვავე პრობლემა მოხსნას.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში ამერიკაში ვიზიტად მყოფ ჩვენს საპარლამენტო დელეგაციას საქმიანი შეხვედრები ჰქონდა კონგრესმენებთან და სენატორებთან, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოს ხელისუფალთა მისამართით გამოგზავნილ წერილებში შეშფოთებას გამოხატავდა, მათი აზრით, ქვეყნის მიერ აღებული ეკონომიკური და პოლიტიკური კურსიდან გადახრების გამო. პარლამენტის სპიკერი არჩილ თალაკვაძე ამ შეხვედრებით კმაყოფილია, – აცხადებს, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებს საფრთხე არ ემუქრება, პირიქით, ეს ურთიერთობები მომავალში უფრო გაღრმავდება და განვითარდება. ეს კარგია და მისასალმებელი, მაგრამ უპრიანი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფალნი მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან თავის მართლების შემდეგ, იმ ხალხსაც დაარწმუნებენ არჩეული კურსისადმი უღალატობა-ერთგულებაში, რომელმაც ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა. ამის დასტურად ხელისუფლება მოვალეა, დაჯდეს და ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დეტალური მოდელი შეიმუშაოს, რომელშიც თითოეული მოქალაქე თავის თავს დაინახავს და არა მარტო შეიმუშაოს, მის განსახორციელებლად დამდეგ არჩევნებამდე კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგას.

ასეა, „ოცნების“ ხელისუფლება ან დაანახვებს ხალხს თავის ქმედითუნარიანობას, ან იმედგაცრუებული ამომრჩეველი ოქტომბერში ცალყბად ჩამოართმევს ხელს და დაემშვიდობება. ვერაფრით ვანუგეშებ ნაცებსაც, რომელთა სახელისუფლებო ამბიციები და განსაცვიფრებელი ტყუილები კარგა ხნის ყავლგასულია.



ოთარ ხუციშვილი

სანთელი

თბილისის რკინიგზის №7 საშუალო სკოლის 1955 წლის გამოშვების მეგობრები: ვაჟა აზარაშვილი, თამაზ გადილია, ნუგზარ კიკნაძე, იაკობ ლეჟავა, გუგა ფანცხავა, ჯუბა ცანავა, ალეკო ციბაძე გულისტკივილით ვიუწყებით თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის ინსტიტუტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების გამგის, მთავარი მეცნიერის, სახელმძღვანელოების და 2018 წელს გერმანიაში დასტამბული ფუნდამენტური ნაშრომის – „საქართველოს ეროვნული ატლასის“ (იგლისურ ენაზე) ერთ-ერთი ავტორის, ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორის, ყველასათვის საყვარელი ადამიანის

ვაჟა ნეიძის

გარდაცვალებას და ვიზიარებთ ოჯახის ღრმა მწუხარებას.
პანაშვიდი 12 II, გამოსვენება 13 II, 14 სთ.
მისამართი: ანტონოვსკაიას ქ. 9ბ. სად. 3, სართ. 8.

ავტომობილები და მერიების თავკაცთა ზნეობა-უზნეობანი...

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია უახლოეს ხანში გამოაცხადებს ტენდერს 70 000 ლარად ორი ახალი ავტომანქანის შესაძენად. მერი არჩილ ხანდამაშვილი ამბობს, რომ ახალი ავტომობილებით ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურების თანამშრომლები ივლიან და მუნიციპალიტეტში მრავლად დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გააკონტროლებენ. მერი ახალი ავტომანქანების შეძენას იმით ხსნის, რომ ამ მუნიციპალური სამსახურების განკარგულებაშია 90-იან წლებში გამოშვებული ავტომობილები, რომლებსაც მომსახურების ვადა კარგა ხანია, ამოეწურა.

რამდენიმე ხნის წინათ, როცა გურჯაანიის მერიამ საკრებულოს მიმართა ავტოტრანსპორტის შესაძენად თანხმობის მისაღებად, მერიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ 70 000 ლარი მერისთვის ავტომანქანის შესაძენად იყო განკუთვნილი. **„გაჟღერდა არასწორად, რომ ეს უნდა ყოფილიყო**

შეძენილი მერისთვის. ეს არის დეზინფორმაცია“, – აცხადებს თავად არჩილ ხანდამაშვილი.

2019 წლის 14 დეკემბერს, როცა გურჯაანის მერი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად თბილისში მიემგზავრებოდა ევროსაბჭოში საქართველოს თავმჯდომარეობის აღნიშვნის საბაბით „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე დასასწრებად, მერიის ავტომობილს საგარეჯოსთან მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. ამ შემთხვევის შედეგად სერიოზულად არავინ დაშავებულა.

გურჯაანის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ თემურ ბუწაშვილი დღესაც დარწმუნებულია, რომ 70 ათასი ლარი სწორედ მერისთვის ახალი ავტომანქანის შესაძენად უნდოდათ, თუმცა, ადგილობრივ საზოგადოებაში პროტესტის გამო გადაიფიქრეს. ბუწაშვილი ირწმუნება, რომ გურჯაანის მერიის დღევანდელი ავტოპარკი სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და ახალი ავტომობილების შეძენა ზედმეტი ხარჯია.

„საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი გვეუბნება, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში საჭიროზე მეტი ავტომობილია და, შესაბამისად, გაორმაგებულია საწვავის ხარჯიც. მესხიშვილის დაკვირვებით, რეალურად ავტომობილების უმრავლესობა მაღალი თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პირად მიზნებს ემსახურება და სახელმწიფოს არ გააჩნია ნება ამ ხარჯის შესამცირებლად: **„გარდა იმისა, რომ ახალ ავტომობილებს ყიდულობენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად დაახლოებით 300 მილიონი ლარი იხარჯება ავტომანქანების ექსპლუატაციისთვის. სახელმწიფო ავტომანქანებით სარგებლობს ყველა შტო – ქვედა, საშუალო და მაღალი რგოლი, ამიტომ ერთმანეთს კონტროლს ხომ არ გაუწევენ?! ხუჭავენ თვალს და არანაირი რეაგირება არ ხდება. როდესაც თანამდებობის პირს დაუდგინდება, რომ ავტომობილს პირადი მიზნებისთვის იყენებს, ან საწვავის გადახარჯვა აქვს, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მაინც ხომ უნდა დადგეს?!“**

ახლახან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა ანგარიში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი ავტოპარკს ეხება. დოკუმენტში წერია, რომ 2017-2018 წლებში ლაგოდეხის მერიას 12 ავტომობილი ემსახურებოდა, არადა, არსებობს მთავრობის რეკომენდაცია, რომ უშუალოდ ამ მუნიციპალიტეტის საქმიანობისთვის 6 ავტომობილიც საკმარისია. აუდიტის სამსახურმა დაასკვნა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს არა აქვს რაციონალური მიდგომა ფუნქციონირებისთვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით.

აუდიტის სამსახურის ანგარიშში მოცემული პერიოდის შემდეგაც, 2019 წელს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა 5 ახალი ავტომობილი შეიძინა და ამ მიზნით ბიუჯეტიდან 200 ათას ლარზე მეტი დახარჯა.

გიორგი ალადაშვილი

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ყაზბეგი-ფშაველი“ (ს/ნ 231248469), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი (საკადასტრო კოდი: 53.18.31.028).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 401866.15 ლარი, დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 61301.61 ლარს).

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 12 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 24 თებერვალი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP64942720;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 649427

6. **მოვალე:** შპს „ყაზბეგი-ფშაველი“ (ს/ნ 231248469), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი;

გიორგი თოფაძე (პ/ნ 01008000849), თბილისი, მცხეთის ქ. 43, ბინა №7;

ირაკლი თოფაძე (პ/ნ 01008004721), თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №80ა/74;

ლუკა რამაზაშვილი (პ/ნ 20001011831), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი;

ვიქტორ დვალი (პ/ნ 01008014346), თბილისი, იური გაგარინის ქ. №13-13ა, ბინა 14.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64942720; ლოტის ნომერი: 649427).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 24 თებერვლის 10:00 საათამდე.

ქართველი ბავშვების ყველაზე ინოვაციური გამოგონება

თბილისის №175 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ მეხანძრეებისთვის შექმნილი „ჭკვიანი ჩაფხუტი“ ესტონეთის საერთაშორისო მოსწავლეთა კომპანიების გამოფენა-გაყიდვაზე ყველაზე ინოვაციური მოსწავლეთა კომპანიის ნომინაციაში გაიმარჯვა. ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, „ჭკვიანი ჩაფხუტი“ მეხანძრეებს დაკვამლიანებული ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლაში ეხმარება – ჩაფხუტი წინაღობას აღიქვამს, მეხანძრეს წინასწარ აფრთხილებს და შესაბამისად, მათ დაშავება-სიკვდილიანობას ამცირებს.

ესტონეთის საერთაშორისო მოსწავლეთა კომპანიების გამოფენა-გაყიდვაში ფინეთის, შვედეთის, ინგლისისა და ლატვიის მოსწავლეთა კომპანიებთან ერთად თბილისის №175 და ბათუმის №16 საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ, სადაც საქართველოს სახელით საკუთარ პროდუქტი წარადგინეს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოსწავლეები უცხოეთში არჩევითი საგნის – მეწარმეობის საფუძვლების ფარგლებში იმყოფებიან, რომელშიც საქართველოს მასშტაბით 251 საჯარო სკოლის 6 500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს.

მეწარმეობის ფარგლებში Junior Achievement-ის ორგანიზებით, ყოველწლიურად, იმართება შეჯიბრებები. მათ შორისაა ესტონეთის მოსწავლეთა კომპანიების ყოველწლიური საერთაშორისო შეჯიბრი, რომელშიც ევროპის წევრი ქვეყნები მონაწილეობენ.

ბათუმის №16 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანიამ The smell of thread შექმნა ხელნაკეთი ნივთები, რომელზეც მოქსოვილია ცხოველთა გამოსახულებები და ეკოლოგიურად ბუნებრივი პროდუქტი, სხვადასხვა არომატიზატორებით.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„სიყვარულის ნექტარი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იტალიელი კომპოზიტორის გაეტანო დონიცეტის „სიყვარულის ნექტარის“ პრემიერა გაიმართება.

წარმოდგენა 26, 27, 29 თებერვალს და პირველ მარტს არის დაგეგმილი.

აღნიშნული დადგმა „ტენერიფის აუდიტორიის“ (Auditorio de Tenerife), თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და ბოლონიის ოპერის სახლის (Teatro Comunale) ერთობლივ პროდუქციას წარმოადგენს.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ თანადაფინანსებით. ასევე პროექტს მხარს უჭერენ „შემოქმედებითი საქართველო“ და საქართველოში იტალიის საელჩო. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა ვოკალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით გასულ წელს იტალიაში, საქართველოსა და ესპანეთში მომღერლების მოსმენები გაიმართა, რომელშიც მსოფლიოს 33 ქვეყნიდან 181-მა შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა.

„გამარჯობა, მე მქვია თბილისი“

საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ბულგარეთის ზღვისპირა ქალაქ ვარნაში მოეწყო ფოტოგამოფენა სახელწოდებით – „გამარჯობა, მე მქვია თბილისი“. გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები, ქალაქის ძველი და ახალი არქიტექტურით, გამოფენის დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს გაეცნოს დედაქალაქის ისტორიას და ახლანდელ იერსახეს.

ღონისძიების ფარგლებში, ბულგარეთში საქართველოს ელჩმა თამარ ლილუაშვილმა შეხვედრა გამართა ქ. ვარნაში ქართულ დიასპორასთან და საქართველოს საპატიო კონსულთან იული ნუშევთან.

მურა დათვი კინტრიშის დაცული ტერიტორიებიდან

ზამთარს დათვი ძილში ატარებს, თუმცა თბილ ამინდში თავისუფლად შეუძლია ბუნაგიდან გამოსვლა და საკვების საძებნელად წასვლა. შემდეგ იგი ისევ უბრუნდება ბუნაგს და ძილს აგრძელებს.

ასეთი ძილი, დაახლოებით, 4-6 თვე გრძელდება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8671; ევრო - 3.1395;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7063;
100 რუბლი - 4.4900; თურქული ლირა - 0.4778;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6885;
1000 სომხური დრამი - 5.9815.

ამინდი 12 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6 ,	დღე	-9
მთიანი რაიონები -	ღამე	-18,	დღე	+3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	-6,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge